## ტფილისი, 9 აპრილი

### III

სახელმწიფოებრივ პრინციპის უარყოფაში სრულიად სამართლიანად ხედავენ უარყოფას მინიმალურ პროგრამისას და ასეთი ქცევა „ჩვენ საქმის კაცებს“ საშინელ რამედ მიაჩნიათ. თუმცა ისინი სოციალისტებს ირქმევენ, მაგრამ მათი ყოფა-ქცევა, თვით მათი პროგრამა ამტკიცებს, რომ მათ სოციალიზმისა არა სწამთ რა, ისინი არ უყურებენ იმას სადღეისო პრაქტიკულ კითხვად. სოციალიზმი მათთვის საპროპაგანდო და სააგიტაციო მასალაა, მთელი მათი პრაქტიკულ მოქმედების შინაარსი პროგრამა მინიმუმია, ე. ი. ისეთი ცვლილება და რეფორმები, რომელთა განხორციელება შესაძლებელია ბურჟუაზიულ წეს-წყობილებაში, ბურჟუაზიულ სახელმწიფო ორგანოების საშუალებით. მათ მხოლოდ ამგვარი რეფორმები სწამთ შესაძლებლად და სასურველად ეხლა, ამ ისტორიულ პირობებში და, რასაკვირველია, ყველა ის, რაც მათ ბურჟუა-დემოკრატიულ მოსაზრებას აღემატება, მათ უტოპიზმათ ესახებათ. საბრალონი! რევოლიუციონერებად სახავენ თავის თავს და დღემდე ვერ მიმხდარან, რომ სოციალისტური პროგრამა იმისდა მიხედვით, თუ რას მოგვცემენ ზევიდან კი არ უნდა იყოს შემუშავებული. სოციალისტური პროგრამა, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, იდეალი, არის დასკვნა რეალურად არსებულ ისტორიულ ტენდენციისა. ამ ტენდენციაზე ან უნდა დავემყაროთ, ან არა. ან უნდა ვსცნათ ის, ან არა. მისი სანახევროთ აღიარება, მასზედ სანახევროთ დამყარება შეუძლებელია. სოციალისტი სოციალისტურ ნიადაგზე მხოლოდ მაშინ მოქმედობს, თუ ის პრაქტიკულად დღეს, ხვალ და ყოველ წამში იბრძვის ამ სოციალისტურ იდეალის და მისწრაფების განსახორციელებლად, რომელიც დასაბუთებული და გამართლებულია ისტორიით და ისტორიულ მსვლელობით.

***

რას მოგვცემენ, რის განხორციელებას შევსძლებთ, ეს სულ სხვა კითხვაა და რის განხორციელება არის სასურველი—ეს კიდევ სულ სხვა კითხვაა. რა რაზედ უკეთესია ეს სხვა კითხვაა, რა არის კარგი—ეს კიდევ სხვა კითხვაა. ბევრ რამეს აღვიარებთ ჩვენ ბევრ რამის უკეთესად, მაგრამ ეს უკეთესიც არ მიგვაჩნია იმ იდეალად, რომელიც უნდა გახდეს ჩვენის საზოგადოებრივ ნიადაგზე მოქმედების გამგე პრინციპად. როცა პოლიტიკური მოღვაწე თავის მოქმედებაში მხოლოდ იმით ხელმძღვანელობს, რაც არსებულზე უკეთესია, ის ოპორტიუნისტობას იჩენს და თუ მას საკმაო გონებრივი და ზნეობრივი გაბედულებაც აქვს, თავის თავს ოპორტიუნისტს უწოდებს. ჩვენ, რასაკვირველია, მისი თანახმა არც მაშინ გავხდებით, მაგრამ ამგვარ ოპორტიუნისტს უფრო მეტ პატივსა ვცემთ, ვინემ იმ ვაჟბატონებს, რომელნიც თავის გონებრივ სისუსტეს და სიმხდალეს პოზიტივიზმისა და სოციალიზმის სახელით ჰფარავენ. ყოველგვარ ოპორტიუნისტთა და მინიმალისტთა უმთავრესი არგუმენტი იმაში მდგომარეობს, რომ ყველაფრის ერთად განხორციელება არ იქნება: არც ხალხია მზად და არც ობიექტიური პირობებია ისტორიისაგან მომზადებული. ჯერ-ჯერობით,—გაიძახიან ყოველ გვარი მინიმალისტები,—პოლიტიკური რეჟიმი უნდა შევსცვალოთ და იმის გამოკვლევას, თუ რა გვარი სოციალიზმის—სახელმწიფოებრივ თუ არა სახელმწიფოებრივ—გზას უნდა დავადგეთ, მერმედ შევუდგებითო. აქ იმალება უმთავრესი შეცდომა მინიმალიზმისა, ე. ი. გაუბედველ, ნიღაბ ჩამოფარებულ ოპორტიუნიზმისა, რომელიც ახასიათებს ყველა ჩვენ ეგრედ წოდებულ სოციალისტურ პარტიებს და როცა მათ ამ სისუსტეზე უჩვენებენ, ისინი აღელვებით გაიძახიან: განა რა; არ უნდა პოლიტიკურ რეჟიმს შეცვლა; არ გწამთ თქვენ ესა, მაშ თქვენ რეაქციონერები ყოფილხართო. ამ ნაირი მათი ქცევა უბრალო მანევრია. რა თქმა უნდა, თანამედროვე რეჟიმის სრული გარდაქმნა ჩვენ სხვაზე არა ნაკლებ მიგვაჩნია სამკვდრო-სასიცოცხლო კითხვად. საქმე ამაში არ არის. საქმე იმაშია, თუ რა გზა ავირჩიოთ, რა პრინციპებით ვიხელმძღვანელოთ, რომ ჩვენის დღევანდელ პრაქტიკულ მოქმედებით ჩვენის იდეალის განხორიელების საქმეს ვემსახუროთ, რა გზა ავირჩიოთ, რომ ჩვენს მოქმედებას ისეთი ხასიათი მიეცეს, რომ ააჩქაროს სოციალური პროცესი, რომ ჩვენი წინსვლა იყოს ერთ და იმავე დროს განუწყვეტელი, შეუჩერებელი წინ სვლა ჩვენი იდეალის სრულ განხორციელებისაკენ და ამასთანავე გზა და გზა თვით ეს წინ სვლა იდეალისაკენ იყოს მიზეზი არსებულის გაუმჯობესებისა. რა გზაა ამ მიზნის მისაღწევად უკეთესი? გზა მინიმალიზმისა, ოპორტიუნიზმისა, გზა სახელმწიფოებრივი, თუ გზა იდეალის მუდმივ სამსახურისა, გზა არა სახელმწიფოებრივი, ხალხოსნური? აი სად არი კითხვა. That es the questio.

ყოველი რევოლიუცია, ყოველი ღრმა ხალხური მოძრაობა იმით არის შესამჩნევი, რომ მას ორგვარი მნიშვნელობა აქვს: პირველად ყოვლისა ის იძლევა უსათუოდ რაიმე უმჯობესობას, ასე თუ ისე ფეხს ადგმევინებს წინ სოცია ლურ ცხოვრებას, ეს რევოლიუციის მატერიალური შედეგია, მეორედ ის აძლევს გამგე პრინციპს იმ ევოლიუციას, რომელიც მის შემდეგ დაიწყება. ეს მისი იდეიური შედეგია და ეს მეორე შედეგი ისე დიდ მნიშვნელოვანია, როგორც პირველი და მისი დავიწყება საპატივებელი არ არის. ამ ექვსი წლის განმავლობაში, ამბობდა ბარასი, საფრანგეთის დიდ რევოლიუციაზე, ექვსი საუკუნე ვიცხოვრეთო. არც ეს უნდა იქნას დევიწყებული — რევოლიუციის დროს ხალხის გონებრივი და სოციალური განვითარება აჩქარებულის ტემპითა ხდება. ისტორიაში მხოლოდ მომენტებია, როცა ხალხი პასივურ როლს არ თამაშობს, არამედ შემოქმედობს—ეს მომენტები რევოლიუციებიდან შესდგებიან. მხოლოდ ის იდეა ხდება მომქმედ ძალად, რომელიც ამ შემოქმედების დროს ეწვეთება ხოლმე ხალხს გონებაში. აი, სწორედ ამისათვის ვფიქრობთ ჩვენ, რომ რევოლიუცია მინიმალიზმის პროპაგანდის დრო არ არის, ის ეპოქაა ძველის და ახალ იდეალის, ცხოვრების, ჩვეულებების, რწმენების და ზნეობის შეტაკებისა. ის ისეთი მომენტია, როცა ხდება ყოველ ღირებულებათა ხელ ახლად დაფასება, ის ისეთი მომენტია, რომლის განმავლობაში იქმნის ის რწმენა-იდეოლოგია, რომელმაც, ვინ იცის, ეგებ მთელი საუკუნოების განმავლობაში უნდა ასაზრდოოს ხალხი გონებრივად და ზნეობრივად, მისცეს მას ენერგია და მხნეობა თავის მძიმე ტვირთის ასატანად, თავის მძიმე საქმის ასასრულებლად. და ნუ თუ ჩვენ იმისთანა მომენტებში აზრთა სიმხდალის, ძველ პოლიტიკურ ცრუმორწმუნოების გავლენის ქვეშ წარმონაშობ მინიმუმებით, ე. ი. მთელი აზრით კი არა, მთელი იდეალით კი არა, მთელი აზრის, იდეალის დამახინჯებულ ნახევრით უნდა დავკმაყოფილდეთ? ნუ თუ ამისთანა მომენტში ეს დამახინჯებული ნა-

ხევარი აზრი, ნახევარი იდეალი უნდა „ვისროლოთ ლოზუნგად“ გონებრივ და მატერიალურ შიმშილისაგან გაათრებულ ხალხში? არა, ათასჯერ არა. სარევოლიუციო ისტორიას რომ ოპორტიუნიზმი ხელმძღვანელობდეს, ის ხომ სარევოლიუციო ისტორია აღარ იქნებოდა. ხალხის მოძრაობაში რომ ყოველივე მინიმალისტთა სურვილისამებრ მომხდარიყო, ისტორიის საუკეთესო ფურცლები არ დაიწერებოდა. რაც კი რამ ჩვენთვის დიდებული და სათაყვანოა წარსულში, არა მინიმალისტებისაგან, იდეალის ჯიუტ მოსამსახურეთაგან არის შექმნილი.

***

კაცობრიობა ერთი კერძო ინდივიდი კი არ არის. მის გონებრივ განვითარებას ის ხასიათი არ აქვს, რაც კერძო ადამიანის გონებრივ განვითარებას. კაცობრიობაში ერთ და იმავე დროს, ხანდახან თანაბარ ძალებით, არსებობს და ვითარდება ბევრი სხვა და სხვა და ხშირად მოწინააღმდეგე იდეალები. საფრანგეთის დიდ რევოლიუციაში, მაგალითად, ჩვენ ვხედავთ ბატონ-ყმობის, კონსტიტუციონალურ, რესპუბლიკანურ, სახელმწიფოებრივ და არა სახელმწიფოებრივ სოციალიზმის იდეალს წამოყენებულს ერთს და იმავე დროს საზოგადოების სხვა და სხვა სოციალურ ჯგუფების მიერ. ამ სხვა და სხვა მისწრაფებათა ბრძოლა ახასიათებს კიდეც საფრანგეთის რევოლიუციას 1789—93 წლ. და ჰქმნის მის სიდიადეს. ამასვე ვნიშნავთ სხვა ისტორიულ მომენტებშიაც.

მაგრამ ვერსად ერთი იდეალი ვერ ასწრობს განხორციელებას ისე, რომ მის განხორციელებამდე არ აღმოცენდეს მეორე იდეალი, რომელიც იქნება ან სრული უარყოფა წინასწარ არსებულ იდეალისა, ან და მისი განვითარება, შევსება. ძველი იდეალები და მისწრაფებანი იცვლებიან ახალ-იდეალთა, ახალ მისწრაფებათა ზეგავლენით. პროგრესსი სხვა არაფერია, თუ არა **საშუალო** საზოგადოებაში მომქმედ სხვა და სხვა მოწინააღმდეგე ძალებისა. წინსვლა ახალ იდეალთა ზეგავლენით ხდება.

ახალი იდეალი, ის იდეალი, რომელიც გუშინ შეიძლება უკიდურესად მიაჩნდათ, დღეს პრაქტიკულ პროგრამად შეიძლება შეიქმნას. ის, რაც გუშინ ცხოვრებაზე მოწყვეტილ უტოპიად გვიჩნდა, ხვალ შეიძლება ცხოვრების რეალურ ფაქტად იქმნეს აღიარებული. ისტორიაში უკან რომ მივიხედავთ, ვრწმუნდებით, რომ პროგრესის წინსვლის იარაღებად სწორედ ის იდეალები იყვნენ, რომელთაც უტოპიად სახავდნენ.

წინასწარ საუკუნოების რესპუბლიკანელები ეტრფოდნენ იდეალს მსოფლიო რესპუბლიკისას. იგინი იბრძოდნენ მის განსახორციელებლად, ჰკვდებოდნენ ბრძოლის ველზე ალპების გაყინულ მაღლობებზე, ბელგიის, იტალიისა და გერმანიის მინდვრებზე. მერე განახორციელეს მათ თავისი იდეალი? ვერა. ამას გარდა ის „ხალხთა ძმობა“, რომლის განხორციელებას ისინი ესწრაფოდნენ, ჯერაც არ არის განხორციელებული, ის მხოლოდ ეხლა დაადგა განხორციელების გზას და როცა ის მართლა განხორციელდება, ის სულ ცოტათი ემსგავსება იმ იდეალს, რომელსაც წარსულ საუკუნოების რესპუბლიკანელები სახავდნენ თავიანთ უზენაეს იდეალად. ის „ხალხთა ძმობა“, რომელსაც მომავალი განახორციელებს, სოციალისტური იქნება, ის უწინარეს ყოვლისა იქნება „ძმობა ეკონომიურად თანასწორთა“ და მას სწორედ ეს ეკონომიური თანასწორობა გაუხდება საძირკვლად და არა „თანასწორობა კანონის წინაშე“, რასაც ისეთის აღტაცებით ესწრაფებოდნენ ძველი რესპუბლიკანელები. კაცობრიობა ერთი კერძო პირი არ არის, ვიმეორებთ. ის კოლლექტიური არსებაა, და რასაც მისი ნაწილები იძენენ, იმით მთელმა კაცობრიობამ უნდა ისარგებლოს. კაცობრიობის უდიადესმა ნაწილმა განვლო 1648 წ., 1776—7, 1789—93 წ.წ. 1830 წ., 1848 წ., რომელმაც მთელი ევროპის გვირგვინოსნები შეაძრწუნა, 1871 წ. ყველა ეს დატები დაუვიწყარნი არიან კაცობრიობის მომქმედ და პროგრესიულ ნაწილისთვის, რადგან ისინი წარმოადგენენ იმ დაუშრეტელ წყაროს, სადაც „მომავალთა მქმნელნი“, როგორც სარკეში, ხედავენ თავიანთ ძველ შეცდომებს, იწვრთნებიან და იცდებიან. პროგრესსი, რომლის ცხოვრებაში გაყვანას აჩქარებულის ტემპით ჩვენ რევოლიუციას ვუწოდებთ, წარმოადგენს, ლ. მეჩნიკოვის თქმისა არ იყოს, ისეთ სერიაციას, რომლის შემდეგ ნაწილებში შედის ყველა ის, რაც წინასწარ ნაწილებში იყო უსათუოდ ერთის ახალ ელემენტის დამატებით. ამისათვის ისტორიული ფაქტების სისწორით განმეორების იმედები არ უნდა გვქონდეს, არც უნდა ვეცადოთ ამას. საფრანგეთის რევოლიუციის მაიმუნივით განმეორება ყოვლად შეუძლებელია, მას მერმეთ უზარ-მაზარი ცვლილება მოხდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იცვალა ძალთა, მატერიალურთა და იდეიურთა ურთიერთობა. ამით ჩვენ ის კი არ გვინდა ვსთქვათ, რომ შრომამ და ღვაწლმა „მამათა ჩვენთა“ (ზემო აღნიშნული დატები) უნაყოფოთ ჩაიარა. სრულიადაც არა. ის, რაც რეალურად მათ განახორციელეს, შედის აღნიშნულ პროგრესიულ სერიაციაში და ადგენს მის პირველ წყებებს.

ის რესპუბლიკელები თავის დროს უტოპისტებად იყვნენ გამოცხადებულნი, მათ სწყევლიდნენ და ჰგმობდნენ, როგორც უტოპისტებს, ცხოვრებაზე მოწყვეტილებს. მაგრამ რა იქნებოდა წარსული საუკუნოების „გამაცოცხლებელი ქარტეხილები“ (ზემო აღნიშნული დატები), რომ მათ სრბოლაში ეს უტოპისტები არ ჩარეულიყვნენ და არ შეეტანათ შიგ „მომავლის მქნელი ძალა“. მათ ებრძოდნენ „საქმის კაცები“, „რეალურ პოლიტიკის“ მოტრფიალენი, ამცირებდნენ, ბავშვებად სახავდნენ, უგუნურებად აცხადებდნენ. მერე? ისტორიამ ყველა ეს „რეალისტები“ და „საქმის კაცები“ დაივიწყა, მხოლოდ სპეციალისტ ისტორიკოსებს ახსოვთ მათი სახელი, ჩვენც ზიზღით ვიხსენიებთ მათ, ხოლო, როცა ისტორიის იმ ფურცლებსა ვკითხულობთ, რომლებზედაც „უტოპისტთა“ მოქმედება, მათი დაუღალავი და თავგადადებული ბრძოლა არის აწერილი, მღელვარება, კეთილისათვის, წინსვლისათვის ბრძოლის სურვილი გვიპყრობს. ,,რეალისტები‘‘, ,,საქმის კაცები‘‘ მოკვდნენ, განქრნენ; ,,უტოპისტები‘‘-კი—დღესაც ცოცხალნი არიან, რადგან ყოველი მათი მოგონება, ყოველი აღტაცება მათი იდეალით გვერეკება წინ, ბრწყინვალე მომავლისაკენ, ჰბადავს ჩვენს გულში სურვილსა და ენერგიას სოციალურ მსვლელობის აჩქარებისას.

არა, მინიმალიზმი, ნახევარ--აზრობა, ხან იქით და ხან-აქეთობა არა ჰქმნის ასტორიას; მაგგვარ პრინციპებზე დამყარებული პარტიების მოქმედება ვერ ასვამს თავის ბეჭედს ისტორიულ მსვლელობას. ამ ნიადაგზე თუ თავის სამკვდრო სასიცოცხლო, ინტერესების ლა-

ლატი არ სურს, არ დაადგება მომქმედი პროლეტარიატი. იმის იდეალის დაქუცმაცება, დაწვრილმანება, შეუძლებელია. მოღვაწეობა წმინდა პროლეტარულ ნიადაგზე არა თუ არ შეამცირებს მის აქტიურ მონაწილეობას საზოგადოების სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიურ სრულის გარდაქმნის თუ მხოლოდ გაუმჯობესების საქმეში, არამედ კიდევ უფრო გააძლიერებს და გაალრმავებს მას.

ინგლისის რევოლიუციონერთ 1648 წ., საფრანგეთისას 1789—93 წ. მშვენივრად ესმოდათ, ისინი მშვენივრად ხედავდნენ, რომ მეფის შემოუფარგველელი უფლება მხოლოდ მის და მის მსგავსთა კაპრიზზე კი არ იყო დამყარებული, რომ მას ფესვი ჰქონდა არსებულ ეკონომიურ წეს-წყობილებაში (ფეოდალიზმი), ამისთვის ისინი ებრძოდნენ მეფის აბსოლიუტიზმს, ფეოდალიზმის დანგრევით. საუკეთესო საშუალებას არსებულ პოლიტიკურ წეს-წყობილების დანგრევისას ისინი ხედავდნენ არსებულ ეკონომიურ წეს-წყობილების დანგრევაში და ისტორია გვიმტკიცებს, რომ ის გზა, რომელიც მათ აირჩიეს, იყო საუკეთესო გზა იმ მიზნის მისახწევად, რომლის განხორციელებასაც ისინი ესწრაფოდნენ: დაინგრა ფეოდალიზმი—დაინგრა აბსოლიუტიზმიც. ყოველ არსებულ პოლიტიკურ წეს-წყობილებას სული უდგას არსებულ ეკონომიურ წეს-წყობილებით. ამ მხრით საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მეორე რესპუბლიკა და ის უზარმაზარი პოლიტიკური მოძრაობა, რომელსაც მოჰყვა თითქმის მთელი ევროპის პოლიტიკურ რეჟიმის შეცვლა 1848 წ., შედეგი იყო არა უბრალო პოლიტიკურ მოძრაობათა, არამედ ფართო და ღრმა სოციალისტურ მოძრაობისა, რომლის სიდიადე აგერ სამოც წელიწადზე მეტია ირკვევა და ჯერ კიდევ არ არის სისრულით გამოკვლეული. ასე, ამგვარად ბრძოლა იდეალისათვის არის უდიდესი ფაქტორი სოციალურ გარდაქმნისა და რაც უნდა სთქვან ჩვენზე „საქმის კაცებმა“, ჩვენ მაინც უარსავყოფთ მინიმუმებს, მაინც მაქსიმუმის, იდეალის სრული განხორციელებისაკენ ვუხმობთ ჩვენის ხალხის საუკეთესო ძალებს. ვიცით, კარგად ვიცით, რომ როცა ამ სტრიქონებს „პრაქტიკულ“, „რეალურ“ მოქმედების უძლური მოტრფიალენი წაიკითხავენ, ჩაიცინებენ: რა დროსია, როგორ შეიძლება ყველაფერი ერთად, კაცს პრაქტიკული მოსაზრება უნდა ჰქონდეს, როგორ იქნება ასეთი უტოპისტობა… ვიცით, ვიცით. ვიცნობთ ვინც ბრძანდებიან აგრე მოსაუბრე ადამიანები, ისიც ვიცით, ვის ჰქონდა წამდაუწუმ ენაზე მაგგვარი სიტყვები.

ყოველთვის მაგგვარ აზრებზე ემყარებოდნენ, მაგგვარ სიტყვებით მიმართავდნენ ხოლმე ხალხს ხალხის მოღალატენი, მისი გულის მღიჯნელი ტურები და აფთრები. მაგგვარ მოსაზრებაზე ემყარებოდნენ ჟირონდისტები, როცა ისინი თხოულობდნენ კონვენტისაგან მარატის განძევებას, მის სამართალში მიცემას, მაგგვარ მოსაზრებაზე ემყარებოდა ბრისო, მეთაური ჟირონდისტთა, როცა ის თხოულობდა „ანარქისტთა“ განადგურება-გაქარწყლებას. მაგგვარ მოსაზრებაზე ემყარებოდნენ თვით იაკობინელები, როცა მათ გამოილაშქრეს ებერის, შომეტის და პარიზის სექციების წინააღმდეგ, მაგგვარ მოსაზრებებზე ემყარებოდნენ მამანი მე-IX თერმიდორისა; მაგგვარ მოსაზრებაზე, სწორედ მაგ ოპორტიუნიზმის ფილოსოფიაზე ემყარებოდა ივლისის მონარქიის რეაქცია, როცა ლიონში აჯანყებულ მუშებს ჰხოცდა და ჟლეტდა უმოწყალოთ, მაგგვარ მოსაზრებაზე ემყარებოდნენ ლედრიუ როლენი, მარა და სხვები, როცა ღალატობდნენ იმ ხალხს, რომელმაც თავის სისხლით განახორციელა მეორე რესპუბლიკა და სამი თვე უცადა თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, სამი თვის გაჭირვება შესწირა მსხვერპლად რესპუბლიკის გამაგრებას. მაგგვარ ოპორტიუნისტურ, მინიმალურ, ნახევარ-აზრულ მოსაზრებებზე ემყარებოდნენ ისინი, რომელთაც შეწუხებისაგან, შიმშილისაგან და ტანჯვისაგან აღელვებულ ხალხს მიუსიეს კავენიაკი ივნისში და ასობით და ათასობით ამოჟლიტეს მაშვრალი ხალხი მუშათა ნაწილებში, მინდვრად და ველად. მაგგვარ მოსაზრებაზედვე ემყარებოდა ბერი აფთარი—ტიერი, როცა უმოწყალოდ ცეცხლითა და მახვილით ჟლეტდა საუკეთესო შვილთ საერთაშორისო მოწინავე პროლეტარიატისას.

დიახ, ყოველთვის და ყოველგან რეაქცია და რეაქციონერები, იმ მოსაზრებით, რომ წინ ფეხის გადადგმის დრო ჯერ კიდევ არ დამდგარაო, სისხლის მორევში ახჩობდნენ რევოლიუციასა და რევოლიუციონერებს.

ოპორტიუნიზმი, რა ფერისაც უნდა იყოს იგი, რეაქციისაგან მხოლოდ რაოდენობით, მხოლოდ ზომით განირჩევა. ოპორტიუნიზმი ისეთი ფერდობია, რომელზედაც დიდხანს გაჩერება ყოვლად შეუძლებელია ისე, რომ ფეხი არ დაგისხლტეს, ხოლო ოპორტიუნიზმის ფერდობიდან ფეხდასხლეტილი აუცილებლად რეაქციაში უნდა ჩავარდეს. ამ საშიშარ ნიადაგზე დადგომას არავითარი სწორი ისტორიული მოსაზრება არ გაამართლებს. არავითარ ისტორიულ ფაქტის, არავითარ სწორის ლოღიკურ მოსაზრების მოყვანა არ შეუძლია **სოციალისტს** თავის მინიმალიზმის გასამართლებლად, ხოლო სოციალისტურ მოძრაობის ისტორია სავსეა მაქსიმალიზმის გამამართლებელ ფაქტებით. არ არის ისეთი ისტორიული მომენტი, სადაც სოციალიზმის სრული და არა ნახევარი, ნაგლეჯი იდეალისათვის ბრძოლა იყოს მეტი და არა ხელის შემწყობი კაცობრიობის პროგრესსიულ წინსვლისა. ის კი არა, ეხლანდელ ისტორიულ პირობებში თვით ისტორიული საჭიროება ჰქმნის ბრძოლას სოციალიზმისათვის, მის სრულ, ოპორტიუნიზმისაგან შეუბღალავ იდეალის განსახორციელებლად ერთად ერთ ძლიერ და სანდო იარაღად პროგრესისა. მხოლოდ სოციალიზმი შეიცავს ყველა თანამედროვე მწველ კითხვათა სრულ და უტყუარ ახსნას. ის ხსნის თანამედროვე ეკონომიურ მონობის და კლასთა ბრძოლის კითხვას მწარმოებელთა სრულის ავტონომიით და წარმოების საზოგადოებრივ ნიადაგზე მოწყობით როგორც წარმოების მხრივ, ისე მოხმარების მხრივ; —თანამედროვე პოლიტიკურ მონობის საკითხს—ადამიანის პირადობის სრულის თავისუფლებით;—რასათა ბრძოლის კითხვას—ყველა ეთნოლოგიურ ჯგუფთა ავტონომიით და ფედერალიზმით. ვინც ამ იდეალის ნიადაგზე გარკვეულად არ სდგება და არ იბრძვის, ვისაც ის სადღეისო კითხვად არ მიაჩნია, ის ამ იდეალის ან ცხადი, ან ფარული მტერია.

---

## კ ა ნ ო ნ ი

### I

მას შემდეგ, რაც მონობა ადამიანს მძიმე შავ ლოდად დააწვა გულზედ, ბევრი რამ სისაძაგლე და სიბინძურე ჩაუნერგა გულში, ტალახით აუვსო ტვინი და იმგვარ ცნებათათვის აცემი-

ნა თაყვანი, რომლის ერთი უბრალო გათვალისწინებაც ზიზღსა ჰგვრის და ბალღამით უსივებს გულს ცრუმორწმუნოებათაგან განთავისუფლებულ ადამიანს.

ღმერთი და ეშმაკი, სამოთხე და ჯოჯოხეთი,—საკუთრება, მთავრობა, „წესიერება", სახელმწიფო და კანონი,—და მრავალი სხვა ამგვარი ცნებები, ურომლისოდაც საზოგადოება დაიღუპება და „ანარხიის" ჯურღმულში ჩაესვენება საუკუნოდ,—აი რითი აქვთ შერყვნილი გონება და დაჩლუნგებული გული არა თუ მათ, ვინც ამ ცნებათ განახორციელებენ, განამტკიცებენ, წარმოადგენენ და გამოჰხატავენ კაცთა შორის, არა თუ ადამიანთა იმ ძლიერ საინტერესო სერიას, რომელიც იწყება განსწავლულ იურისტებითა და თავდება თვეში თუმნად მოსამსახურე ჯაშუშებით,—არამედ ბევრ, მრავლის უმრავლეს უბრალო ადამიანთაც, რომელნიც გონებრივ მონობაში აღიზარდნენ, გონებრივ მონობის ფარგლებში ავარჯიშებდნენ თავიანთ ტვინსა და სამარადისოდ იკურთხეს ტვინი ამ ცნებათაგან დამდგარ წუმპის სქელი წყლით.

გაიარეთ ხალხში, მაგალითად, და ჰკითხეთ ყველას: აღიარებთ თუ არა **კანონს**, შესაძლებელია თუ არა უკანონოდ ცხოვრება, სასურველია თუ არა უკანონობა, თაყვანსაცემია თუ არა კანონიო? რამდენს ნახავთ ისეთს, რომ გიჟი და გარყვნილი, ავაზაკი და ურჯულო არ გიწოდოსთ, ბობოლა პროფესორიდან დაწყებული გულუბრყვილო გლეხამდე? შეიძლება კანტად სადმე ერთს ანარქისტს გადაეყაროთ, რომელიც ერთი ლაზათიანად შეუკურთხებს თქვენცა და თქვენს კანონსაცა და შემდეგ გულდამშვიდებული, რომ პროვოკატორი არა ბრძანდებით, დაგიწყებსთ მტკიცებას კანონის ულოლიკობისას, სისასტიკისა და საზიზღრობისას,—სხვა კი ყველა ერთ ხმათ მოგაყვირებს: კანონი! უკანონოდ საზოგადოების არსებობა არ შეიძლება, იგი საჭიროა, უიმისოდ კაცები ერთმანეთს დასჭამენ, უკანონო მოქმედება დანაშაულობაა, უკანონობა—უწესოებაა, —„ანარქიაა"; მეტადრე ზოგიერთებისაგან ჩვენ ვთხოულობთ კანონიერებას, ჩვენ, მოქალაქენი, ვთხოულობთ ჩვენის ტანჯულ სამშობლოსათვის კანონიერ რეჟიმის დამყარებას და სხვ. შეიძლება სოციალ-დემოკრატიც გამოერიოს სადმე იქ ახლომახლო და თუ ფრანგ კოლლეგების სიტყვათა წყაროს დასწაფებია როდისმე, უსათუოდ წამოტორტლავს:

კანონიერება! ჰმ! როგორ არა, გვინდა კანონიერება, იგი ბურჟუაზიასა ჰკლავს, სადაც დემოკრატიული რეჟიმია გამეფებულიო!

მაგრამ ურჯულო-უკანონოთათვის რა არის კანონი?—ძალმომრეობის, ძარცვა-გლეჯის, დამონებისა, კაცის კვლისა და ავაზაკობის ორგანიზაციის დადგენილება—უსათუოდ დაახრჩვეთ, გაძარცვეთ და გაგლიჯეთ, დასჩაგრეთ, დაჰხოცეთ და აწამეთ მრავლის უმრავლესი ადამიანებიო, თუ მათ ყოველივე ის ბედნიერებად არ აღიარეს და მუხლ-მოდრეკით მადლობა არ უძღვნეს მას ყოველ დღე იმ დიდის გულშემატკივარობისათვის, რომელსაც მთავრობა და კანონმდებელი მოწყალებით მოიღებს საყვარელ ხალხზე. აი რა არის ჩვენთვის კანონი. მას სხვა შინაარსი არა აქვს, თვინიერ გაიძვერულ იკლიკანტურობისა, რომლითაც განირჩევა მრავალი წვრილმანი კანონი. მაგრამ ეს უკანასკნელები კუდებათ აქვთ გამობმული იმ დიდ, საზოგადო, ძირითად კანონებს, რომელზედაც არის დამყარებული კვლისა, ძარცვა-გლეჯისა და ავაზაკობის ორგანიზაცია.

განსწავლულ იურისტებს რომ ჰკითხოთ,—კანონი არის გამოხატულება საზოგადოების საერთო სურვილისა, იგი არის შემუშავებული წესი, რომლითაც უნდა იაროს ყოველმა წევრმა საზოგადოებისამ, რომ საზოგადოება არ დაინგრეს, არ დაიშალოს და ადამიანი პირველ ყოფილ, ველურ მდგომარეობას არ დაუბრუნდესო.

ეს კი პირდაპირი სიცრუვეა, თვით კანონთა შემთხზველების მიერ გამოგონილი, სიცრუე ურცხვი, მუხტალი ტყუილი! კანონი რომ მართლაც გამოხატულება იყოს საზოგადო სურვილისა, მაშინ ხომ აღარ იქმნებოდა ის საშინელი, დაუდგრომელი, შეუწყვეტელი ბრძოლა კანონისა და მის შემთხზველ-განმამტკიცებელთა და ხალხთა შორის. მაშინ ხომ აღარ იქმნებოდა ის ანტაგონიზმი, რომელიც მუდამ არსებობდა და არსებობს კანონმდებელთა და საზოგადოების უმეტეს ნაწილს შორის,—ანტაგონიზმი, რომელიც ერთი უთვალსაჩინოეს დამახასიათებელ მხარეთაგანია მთელი კაცობრიობის ისტორიისა. ეს ბრძოლაა წყარო და საფუძველი ეგრედ-წოდებულ დანაშაულთა, რაიცა, „მეცნიერ-იურისტთა განსაზღვრით, ნიშნავს „კანონით დასჯილ ყოველგვარ მოქმედებას ადამიანისას". სხვა განსაზღვრა დანაშაულისა ვერ მოუგონიათ ამ კაცობრიობის გამაბედნიერებელთ და ამ უშნო აბსურდულს და პირველყოფილ განსაზღვრებს გვახლიან თავში, რაიცა პირდაპირი მაჩვენებელია კანონის ძალ-მომრეობიდან წარმოშობისა.

ორში ერთია: ან კანონი მართლა გამომხატველია საზოგადო სურვილისა, საზოგადო ინტერესისა,—და მაშინ რითი უნდა ავხსნათ ის საშინელი და სასტიკი ბრძოლა ხალხსა და კანონს შორის, რითი უნდა ავხსნათ დანაშაული, რომელიც საზოგადო მოვლენად გადაქცეულა?—ან კანონი განსაზღვრულ ორგანიზაციის დადგენილებაა და, მაშასადამე, სრულიად წინააღმდეგი საზოგადო სურვილისა, წინააღმდეგი ხალხის უმეტესობისა, გამომხატველი გაბატონებულ კლასთა დესპოტიზმისა, რომლის წინააღმდეგაც იბრძვის ხალხი, და სწორედ ამ კლასთა ბრძოლის ნიადაგზედ არის აღმოცენებული უმეტესი ნაწილი დანაშაულობისა, რადგანაც კანონი ერთი კლასის ბატონობასა და ავაზაკობას ნიშნავს, დარღვევა კი ამ კანონისა დამონებულთა მიერ—დანაშაულს.

საზოგადო სურვილი, საზოგადო ნება და საერთო ინტერესები შეუძლებელია იმ საზოგადოებაში, რომელიც ერთმანეთის მოწინააღმდეგე ჯგუფებად არის გაყოფილი (და ნათელ ვყოთ ჩვენი აზრი: ეს თვით საზოგადოების შინაგან ცხოვრებაში, სადაც სწორედ მოქმედებს კანონი, და არა სხვა საზოგადოებასთან დამოკიდებულებაში, რაიცა ხშირად გამოიწვევს ხოლმე ერთი საზოგადოების მეორეზედ გალაშქრებას და იწვევს ამითი ამ უკანასკნელში თავის დაცვის ინტერესსა და გრძნობას, განურჩევლად დასთა, ჯგუფთა და კლასსთა).

და მართლაც თვით წარმოშობა კანონისა იყო სულ სხვა წყაროდან, ვიდრე საზოგადოებრივობა, ვიდრე საზოგადო სურვილი და ნება საერთო ცხოვრებისა და თანასწორ ადამიანთა მიერ თავის საერთო ინტერესების დაცვისა.

ძველ ველურთა ტომებს, კლანებს, სოფლის თემებს, თავისუფალ ქალაქებსა და მრავალგვარ თავისუფალ ორ-

განიზაციებს კანონი არა ჰქონიათ ამ სიტყვის რომაულ ან თანამედროვე აზრით. მათ ჰქონდათ ხანგრძლივ საზოგადოებრივი ცხოვრებით შემუშავებული ჩვეულებანი, შინაგანი და გარეგანი,—და ამ ჩვეულებისამებრ სცხოვრობდნენ. ეს ჩვეულებანი დაწერილი არ იყვნენ და მათი დარღვევისათვის სპეციალურად მიჩენილი ჯამაგირიანი კაცი არა სცემდა კაცს კისერში და გულს არ უგმირავდა ისრით, არამედ იგინი პირდაპირ ცხოვრების პრაქტიკისაგან გამომდინარეობდნენ, შედეგნი იყვნენ თვით თანასწორ ინდივიდთა საზოგადოებრივ ცხოვრებისა განსაზღვრულ პირობებში. „კბილი კბილისა წილ—თვალი თვალისა წილ“, სისხლის აღება და შურის ძიება, სამედიატორო სამართალი, საერთაშორისო უფლება (le droit desgens) და სხ. —აი რა იყო ქმნილება ამგვარ საზოგადოებრივ ცხოვრებისა, და რომ განგრძობილიყო ისტორიაში ზემოხსენებულ საზოგადოებრივ ცხოვრების წესთა ბუნებრივი ევოლიუცია, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებას მათი უარმყოფელი ფორმა არ მიეღო ხოლმე და არა ჰქონდეს ეხლა, ეს ჩვეულებანიც მოისპობოდნენ და სხვა უფრო მაღალ-ზნეობრივ და საზოგადოებრივ ჩვეულებათ დაუთმობდენ ადგილს,—საურთიერთო სოლიდარობისა, საყოველთაო ძალთა თავისუფლად შეერთებისა, სიყვარულისა და პატიების ჩვეულებათ, რომლის კაცთა შორის დასამყარებლად იბრძვის ეხლა მიწასთან გასწორებული და დაჩაგრული კაცობრიობა.

ჩვეულებანი არ ყოფილან წყარო ძველ და თანამედროვე კანონთა. წინააღმდეგ,—იგინი ისტორიაში ერთმანეთის მტრები იყვნენ, სასტიკი მებრძოლნი ერთმანეთისა. თუ შემდეგ, სახელმწიფოს მიერ შეთხზულ კანონს რომელიმე **ჩვეულება** დაუტოვებია,—ან ისეთი, რომელიც მისთვის სასარგებლო ყოფილა და ხალხის სატანჯავად ადვილ იარაღად გაიძვერულად სახმარი, გადამახინჯებული და შინაარს გამოცლილი, ან და ისეთი, რომელიც ძლიერ მძლავრად ყოფილა ხალხში გამჯდარი და ველარ ამოუფხვრია იგი ხალხის სიღრმიდან.

დანარჩენ შემთხვევაში კანონი სდევნიდა ჩვეულებას, რომელიც მართლაც საერთო სურვილის გამომხატველი იყო.

ჩვეულებათა ხანაში ,,დანაშაულიც'' ადვილი განსასაზღვრელი იყო, რადგანაც საერთო სურვილის გამოხატულებისა და საერთო ინტერესების დარღვევა მართლაც არა სასარგებლოდ ითვლებოდა მთელი საზოგადოებისათვის, და მათ ჰქონდათ უფლება ეთქვათ: დანაშაული არს ჩვეულებათა დარღვევა, რაიცა დაისჯებისო''; ეს აბსურდი არ იქმნებოდა. ეხლა კი, როცა ამბობენ—დანაშაული არს კანონის დარღვევა, რაიც კანონითვე დაისჯებისო, აბსურდია...

როგორ შეიძლება ჩვეულების წყაროსაგან გამომდინარებული დანაშაული შევადაროთ კანონისაგან გამომდინარებულს და ერთი ცნება გამოვხატოთ ამ სიტყვით, როდესაც სულ სხვა და სხვა, ერთი-მეორის მოწინააღმდეგე საზოგადოებრივი ორგანიზაცია უდევს საფუძვლად ჩვეულებასა და კანონს,—თავისუფალ და თანასწორთა საზოგადოება*) და სახელმწიფო.

როდესაც ირღვევოდა საზოგადოებრივ ორგანიზაციის თავისუფალი ტიპი და ათას გვარ მიზეზთა გამო სდგებოდა უარესი ტიპი საზოგადოებრივ ორგანიზაციისა—სახელმწიფო (ჩვენ აქ ამ უკანასკნელის წარმოშობას არ გამოვუდგებით), მაშინ ჩნდებოდა ხოლმე ნამდვილი კანონი, შეთხზული ან ერთი მონარხისა, ან ძლიერთა და მდიდართა ამორჩეულ პირთა მიერ, და ეს მათი წინასწარი დადგენილება, ეს კანონი ხდებოდა აუცილებელი და სავალდებულო საზოგადოების ყველა წევრთათვის, რომელნიც დამონებულნი იყვნენ გაბატონებულთა მიერ. სხვანი კი ამ კანონის გარეშე იდგნენ, კანონი მათ არ აწვა [illegible]ლის თავისი სიმძიმით, რადგანაც იგი მათი საკუთარი იარაღი იყო, მათივე ხმლით ცხოვრებაში გაყვანილი. ეხლაც ინგლისში მეფე გარეშე ყოველივე კანონისა და სამსჯავროისა სდგას, და ეს პირდაპირ არის ჩაწერილი პირველ მუხლად ინგლისის ,,უფლებაში''.

სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც მრავალ-ფეროვან მონობაზედ იყო დამყარებული, ყოველთვის წინ უძღოდა ძველ თავისუფალ ორგანიზაციათა უფლების მოსპობას, წინ უძღოდა აგრეთვე თავის კანონს, რომელიც შემდეგ გამოჰხატავდა ხოლმე ახლად მოვლინებულ არგანიზაციის მონურ სულს და ათავებდა მის მიერ დაწყებულ საქმეს,—ძველ ორგანიზაციათა და ჩვეულებათა განადგურებას.

მონობა წინ უძღოდა რომისა და ბიზანტიის უფლებას. თანამედროვე სახელმწიფოს მთელი ძველი საზოგადოებრივობის მოსპობით აღმოცენების შემდეგ შემუშავდა თანამედროვე უფლებანი, შეზავებული რომის ძველ მონურ უფლებისა და თანამედროვე ძალმომრეობისა და ძარცვა-გლეჯის უფლებისაგან.

უფლება ძარცვისა და გლეჯისა, უფლება მონათ ყიდვისა და გაყიდვისა, წამებისა და მოკვლისა, უფლება საკუთრებისა, რომელიც ხმლით იყო წართმეული ხალხის ხელიდან, უფლება მთელის საზოგადოებრივ სიმდიდრის მითვისებისა, უფლება განუსაზღვრელ და უსირცხვილო ექსპლოატაციისა, უფლება იარაღის ტარებისა და ომებით ასი-ათასობით კაცის კვლისა—ყოველივე ეს კანონის სახელით,—ერთი სიტყვით უფლება-კი არა, ათასნაირი უუსაშინელესი დანაშაულობანი დაისახა სახელმწიფომ თავის ფუნქციად, და როგორ შეიძლებოდა ამის შემდეგ დანაშაული განესაზღვრათ როგორც საზოგადო ინტერესთა შემლახველი მოქმედება ადამიანისა:—მაშინ თვით ბატონნი და ჰმართველნი გამოდიოდნენ დამნაშავეებად;—მათაც განსაზღვრეს დანაშაული როგორც მოქმედება ადამიანისა კანონის მიერ დასჯილი!

კანონი-კი სწორედ თვით ამ დანაშაულთა განზრახვის გამოხატულება და ფორმულაა! აი სად არის მისი უუსაზიზღრესი ძირი.

მაგალითად, ერთ ადამიანს ეკუთვნის

---

*) ჩვენ ამითი ის არ გვინდა ვსთქვათ, რომ ყოველივე საზოგადოება, სადაც ჩვეულება არსებობს, მართლა „თავისუფალ და თანასწორ“ წევრთაგან შესდგება. ჩვენ გვაინტერესებს თვით წესი ორგანიზაციისა, ტიპები საზოგადოებრივობისა, და ამ მხრით ცნობილია, რომ იქ, სადაც ჩვეულებითი უფლებანი არსებობენ, ე. ი. სადაც უფლების შემუშავება თვით ცხოვრების პრაქტიკიდან გამოდის, ინდივიდები თავისუფალნი და თანასწორნი არიან, წინააღმდეგ სახელმწიფო ორგანიზაციისა, სადაც ერთის ან რამდენიმეთა ჯგუფების სურვილია გამეფებული. თუ კი მრავალი მხრით არ არსებობს ნამდვილი თავისუფლება და თანასწორობა პირველი ტიპის ორგანიზაციაში, ეს სხვა პირობათაგან არის გამოწვეული. იგი არ ვითარდება როგორც ფუნქცია თვით საზოგადოებრივ ორგანიზაციის განსაზღვრულ ტიპისა, როგორც ესა ხდება სახელმწიფოში, სადაც უთანასწორობა და მონობა პირდაპირი ფუნქციაა სახელმწიფო ორგანიზაციის ტიპისა.—მთელი სურათი საზოგადოებრივ მდგომარეობისა განა მარტო მისი ორგანიზაციის ტიპისაგან არის დამოკიდებული!

მთელი მაზრა და მას უფლება აქვს შიმშილით დასწყვიტოს მთელი ხალხი, ან გაძარცვოს იგი, ან სულ აჰყაროს და გადაასახლოს!—აი რას გვეუბნება, მაგალითად, დღევანდელი საკუთრების უფლება. კანონით დამკვიდრებულ წესიერების წინააღმდეგ აჯანყებულები უნდა გავსწყვიტოთ იარაღით—აი რას გვეუბნებიან! დამნაშავეები ეს მშივრები, ეს აჯანყებულები ყოფილან, და არა დამამშეველნი,—აი რას გვეუბნება თანამედროვე სამართალი!

ჩვენ-კი ვიცით, რომ ჯერ ეს საკუთრებით უფლება გაჩნდა, ჯერ ხალხი გაყვლიფეს და მოუსპეს თავისი შემონაქმედი, ჯერ ძალ-მომრეობითი ორგანიზაცია გაჩნდა, დაემყარა ძალ-მომრეობისა და ძარცვა-გლეჯის დაწესებულებათა მთელ დაუსრულებელ წყებაზედ,—და მერე გამოიხატა მათი სული იმ კანონსა და სამართალში, რომელსაც ძალით გვახვევენ თავზედ და რომელთა სახელით გვანადგურებენ, გვხოცავენ და დამნაშავესაც-კი გვეძახიან! ადამიანის სისასტიკე და აბსურდული კადნიერება ამაზედ შორს ვეღარ წავა!

კიდევ და კიდევ განვიმეორებთ, რომ კანონი მოგონილია მათ-მიერ, ვინც ბატონობა ჩაიგდო ხელში ძალ-მომრეობით, ვინც ძარცვა-გლეჯის ორგანიზაცია მოაწყო და მონობის ბეჭედი დაასვა მას, ვინც მუდამ დამნაშავე იყო,—თავისი სიმდიდრისა და ბატონობის განსამტკიცებლად და გამოსახატავად.

. . . . . . . . . . . . . . . . . .

კანონს სჭირია თავის ხელქვეითი დაწესებულებანი და ჰყავს კიდეც და ყველა ეს ანტისოციალური დაწესებულებანი აუარებელ ადამიანთა უიარაღო და შეიარაღებულ ბრბოს წარმოადგენენ და სხვას არაფერს. მათი რჩენა, მათი უძირო მუცლის ავსება, მათი უზარ-მაზარი გველის მადის დაკმაყოფილება დღეს სავალდებულოდ გამხდარა მთელ მწარმოებელ საზოგადოებისათვის, გადაშენებისკენ მიჰყავს იგი და რა გასაკვირველია, როდესაც რევოლუცია პირველ წამშივე უარ-ჰყოფს ხოლმე მათ და გალომებული სცდილობს შემოიცალოს ეს პარაზიტები, განიწმინდოს და განიკურნოს ამ ანტისოციალურ ბრბოსაგან. რა გასაკვირველია აგრეთვე, როდესაც გამგელებული რეაქცია მსწრაფლად აღადგენს ხოლმე რევოლიუციის-მიერ დანგრეულ დაწესებულებათ სისხლით მორწყულ საზოგადოებაში და ხალხის დაკვერებულ სისხლის საძირკველზედ ხელ-ახლა აშენებს მათ!

მაგრამ აბა ჰკითხეთ თვით ამ ვაჟბატონებს, რა როლი მიუძღვით მათ საზოგადოებაში?—ჰმ! ისინი რომ არ იყვნენ, საზოგადოება დაიღუპებოდა: საკუთრება, თავისუფლება, წესიერება, სიცოცხლის გარანტიაც-კი განქრებოდა, რომ მუდამ არ იყვნენ ზემოხსენებული დაწესებულებანი დარაჯებად გაჩერებულნი საზოგადოების დასაცველად და ადამიანის საკეთილდღეოდ.

აი მათი მიზანი, აი მათი პრეტენზია. ადვილია ამ სიცრუის ნათელ-ყოფაც. ჩვენც ვეცდებით შემდეგ წერილში.

Bâton

---

## ნაწყვეტები სოციალიზმის ისტორიიდან.

## II

### დიქტატურა და პრეტენზია მეცნიერებაზე.

(თარგმანი)

თუ გინდათ მკაფიო აზრი შეადგინოთ მარქსის და ენგელსის საქციელზე, როგორც ჩამგონებელის ინტერნაციონალის საზოგადო საბჭოსი, საჭიროა გავითვალისწინოთ როგორი იყო მათი საქციელი პარიზის კომმუნის დროს.

3 აპრილს 1871, ინტერნაციონალის საზოგადო საბჭო ლონდონიდან იწერებოდა პარიზში: მოქალაქენი, წევრები პარიზის ბიუროსი, საქმეთა ვითარებით მოწვეულნი არიან მიმართონ ლონდონში ცენტრალურ ბიუროს ყოველდღიურ რაპორტით.

მოთხოვნა რაპორტებისა ისეთ კაცებისაგან, რომლებიც იბრძვიან! რა საჭიროა რაპორტები?

9 აპრილი: ჩვენ ველოდებით რეზულტატებს თქვენთვის ინსტრუქციების მოსაცემათ.

ბისმარკი და იმპერატორი ვილჰელმი, რომლებიც აცხადებდნენ პრეტენზიას წინამძღოლობაზე, ბრძოლის ველზე მაინც იყვნენ! მაგრამ საზოგადო კომიტეტი, რომელსაც მარქსი და ენგელსი მართავდა, რჩეობდა უფრო დარჩენილიყო სამშვიდობოში და ფეხი ფეხზე გადადებული მიეცა ინსტრუქციები chenet-ზე.

მერე რანაირი ინსტრუქციები!

4 აპრილი: ნუ მოახდენთ უსარგებლო აგიტაციას პროვინციაში.

9 აპრილი: ამას იქით დაუთმეთ მოქმედება რესპუბლიკელებს [illegible] გარეთ.

ან კიდევ: ბრძოლა გადაწყვეტილად დაწყებულია. ჩვენ თქვენი იმედი გვაქვს, რომ ხელს შეუწყობთ.

მაგრამ ამ აბსურდის გვირგვინი ისაა, რომ ამ ძალის ხარბ ბატონებს უნდოდათ აგრეთვე კონტროლს ქვეშ გაეტარებიათ თვითეულ მებრძოლ სოციალისტის მოძრაობა ამნაირად:

23 მარტს: დატოვეთ გობერტი ლიონში, გენრიეტი თქვენთან და გაგზავნეთ ეტიენი მარსელში.

24 მარტი. გაგზავნეთ კლიუზერეტი პარიზში (კარგ საჩუქარს კი აძლევდნენ, აი!).

20 მარტი: რადგან არიან დაბრკოლებანი, რომლებიც ხელს უშლიან მოქალაქე ასსის და მორტიერს ლიონში გამგზავრებას, ამიტომ მოქალაქე ლანდეკი წარგზავნილია მარსელსა და ლიონში სრულის რწმუნებით (იხილე ინტერნაციონალის ისტორია რესპუბლიკანელ ბურჟუასი (Fiaux).

ინტერნაციონალის სტატუტის თანახმად იმის საზოგადო კომიტეტს ჰქონდა მხოლოდ წმინდათ ადმინისტრატიული ფუნქციები და უნდა ემსახურნა მხოლოდ როგორც კორრესპონდენცის ცენტრალურ ბიუროს, სხვა და სხვა ნაციონალურ ორგანიზაციებისთვის. საბჭოს არ ჰქონდა უფლება ჩარეულიყო თვითეულ ქვეყნის შინაურ საქმეებში. მაგრამ, მარქსის და ენგელსის ხელმძღვანელობით იმან ცოტ-ცოტა მიითვისა სხვა უფლებებიც, როგორც მუშათა ორგანიზაციების ხელმძღვანელობა, და მიაღწია ამას დიქტატურის სიგიჟით ისე, რომ აგზავნიდა ისეთ ბრძანებებს, რომლებიც ზევით წავიკითხეთ: სრული უფლება მარსელსა და ლიონზე ერთ უცნობ სახელოვანს! (რა ტაქტია! ორი გერმანელი, რომლებიც წარგზავნიან კეთილს კაცს, სახელით გერმანელს, ფრანგ სოციალისტების ხელმძღვანელად, მაშინ როდესაც იმპერატორი, გერმანელი პრინცები და ბისმარკი ვერსალში იყვნენ!)

1870 წლიდან დაწყებული ინტერნაციონალის გონიერი წევრები, როგორც გილომი და ბაკუნინი, ხედავდნენ უკვე როგორ იჩენდა ის სახიფათო და სასაცილო მიმართულება სურვილს სახალხთაშორისო დიქტატორად გახდომისას. იმათ შექმნეს წინააღმდეგი მოძრაობა, რომელიც უფრო და უფ-

რო გამოინაკვთა; იწყო გამრავლება ცხარე პროტესტებმა: აქედან იწყება ის სიძულვილი, რომელიც ზარდა ფედერალისტებისადმი მარქსისტულმა მიმდგომლობამ, განსაკუთრებით გილომისადმი და ბაკუნინისადმი. ამ მიმდგომელობამ მოიხმარა მთელი თავისი ენერგია და მთელი თავისი ავტორიტეტი; ის მუქარას არ სჯერდებოდა. ჩვენ ვნახეთ როგორ მოიპოვა მან უმრავლესობა 1872 კონგრესზე, ჰააგაში, და მათი პამფლეტი: L'Alliauce internationale, ამ დროს გამოქვეყნებული, ერთად-ერთი მაგალითი არის ცილის წამების და აბსურდობისა.

ჰააგაში ინტერნაციონალის კონგრესზე გამოწვეულ განხეთქილების შემდეგ, ორივე ფრაქცია მისდევდა ორ ძლიერ სხვა და სხვა ტაქტიკას. მაშინ, როდესაც ფედერალისტები უფრო და უფრო ყურადღებას აქცევდნენ ბრძოლას ეკონომიურ და რევოლიუციონურ ნიადაგზე, ტენტრალისტური სახელმწიფოს მომხრეები, რომლებმაც დაადგინეს ლეგალურ და პარლამენტარულ მოქმედების პროგრამმა, გატაცებული იყვნენ პოლიტიკურ შემთხვევებით და საარჩევნო ბრძოლით ზომიერების და კომპრომისების გზით, როგორც ეს უკვე ვიცით. ცნობილია ისიც, სანამდი მიიყვანა გოტას კონგრესზე გერმანიის სოციალდემოკრატიამ მორიგების ხასიათი სოციალისტურ მოთხოვნათა და არსებულ სოციალურ წესსა და სახელმწიფოს შუა (1894 ფრანკფურტის კონგრესზე). ერთმა დელეგატმა სთქვა: „სოციალისტური მედიცინა პატარ-პატარა დოზებით უნდა იქნას მოხმარებული“-ო.

ერთი სინიდისიერი მეცნიერი ეუბნებოდა უკანასკნელ ხანებში ერთ ჩვენ მეგობარს: „მეტი რა გინდათ, რადიკალების პროგრამმა უფრო წინ მიდის, ვინემ სოციალისტებისა!“ (ნეტავი თუ მართალია ეს); აგრეთვე არ არის საკვირველი ის, რომ ძველი სახელწოდება „სოციალისტ-რევოლიუციონერისა“ შეიქნა შემაწუხებელი ყველა ამ ბატონებისთვის, დეპუტატებისთვის და „სოვეტნიკებისთვის“. შეიქნა საჭირო სხვა სახელწოდების გამოძებნა, ისეთის, რომელიც უფრო შეფერებული უნდა ყოფილიყო მათ ახალ სოციალისტურ მცნებასთან, მათ ახალ და ასე ჩინებულ კანონმდებელთა მდგომარეობასთან.

სასურველი სიტყვაც გამონახულ იქმნა: „რევოლიუციონურ სოციალიზმის“ მაგივრად შემოიღეს ხმარებაში „მეცნიერული სოციალიზმი“, ისე ვითომ შესაძლებელი ყოფილიყოს უვიცობის სოციალიზმი: ალბათ, ამნაირად მიჩნეული იყვნენ სენ-სიმონი, ოვენი, პრუდონი და ჩერნიშევსკი. საუბედუროდ, ზედსართავი „მეცნიერული“ გაუგებრობას იწვევს, რადგან ნამდვილად სიტყვა „მეცნიერება“ მუდამ ენაზე აკერიათ კაპიტალისტურ ორგანიზაციის უმსგავსობის დამცველებს; მეორე მხრით გერმანიაში კარგა ხანია მას აქეთ, ერთი რეფორმატორების კლასსი, ვარდის ფრად დაფერილი, დამძინებლების განსაკუთრებულ უფლებით, არის ცნობილი კათედრის სოციალისტების სახელით—Katheder voizalist.

უცილობლად საჭირო იყო, გარჩეული ყოფილიყვნენ ამ ოფიციალურ მეცნიერებისაგან. და ამ დროს იწყება შექმნა ლეგენდისა მათ საკუთარ მეცნიერების თაობაზე, განსაკუთრებულად მათ მეცნიერებაზე, რომელიც დამყარებულია სოციალ-დემოკრატიის დამაარსებელთა სპეციალურ აღმოჩენებზე. იმის მაგიერად, რომ უბრალოთ ეთქვათ, კოლოსსალური განვითარება გონებრივი კულტურისა ჩვენ გვაიძულებს მოვახდინოთ რადიკალური ცვლილება კაპიტალისტურ და სახელმწიფოებრივ ორგანიზაციაში და რომ **მთლად ერთიანად** მეცნიერება დამოუკიდებელ კაცების ნარკვევებში უარჰყოფს ინდივიდუალურ წარმოების და მოხმარების წესს, იმათ მოისურვეს, მიეთვისებიათ მთელი ღირსება სპეციალურ მეცნიერებისა: სოციალ-დემოკრატიის მეცნიერებისა. ამნაირი დარწმუნება პრეტენციოზურია, ის ვერ მაგრდება თუ გაბედეთ და ახლოდან შეხედეთ. რეალური მეცნიერება დაკავშირებულია ყველა ცნობილ ჭეშმარიტებასთან, მოქმედებს კაცთა ცოდნის ყველა შტოებში და უძლეველ ზეგავლენით იტაცებს ყველა დამოუკიდებელ გონებას...

ჩვენ ეხლავე დავინახავთ, თუ მათ მეცნიერებას ამნაირი ხასიათი აქვს.

მოუსმინეთ დამტკიცებები პარტიის **„მოაზრეთ“** და ოფიციალურ პუბლიცისტებს:

„კაპიტალისტურ წარმოების კანონები, მარქსის მიერ აღმოჩენილი, ვკითხულობთ ენგელსის ბიოგრაფიაში (Neue Zeit, IX წელი, № 8), არიან ისე მუდმივი, როგორც მზის სისტემის მოძრაობის კანონები ნიუტონის და კეპლერისა“.

„მარქსისაგან ვართ დავალებული, ამბობს ენგელსი, ორი დიდი აღმოჩენით: 1, გამომჟღავნება კაპიტალისტურ წარმოების საიდუმლოსი მეტ-ფასის საშუალებით;

2, მატერიალისტური კონცეპცია ისტორიის (Engels, Le Développement du socialisme sceutefigue).

„...1845, ჩვენ (მარქსმა და ენგელსმა) გადავწყვიტეთ, დაგვეწყო საჭირო გამოკვლევა ისტორიის მატერიალისტურ ახსნის შესამუშავებლად, რომელიც მარქსმა აღმოაჩინა (წინასიტყვაობა Dudwig Feuerbach, ენგელსისა“).

ერთ პოლემიკაში დიურინგის წინააღმდეგ ჩვენ ვპოულობთ: „თუ დიურინგი გულისხმობს, რომ მთელი ჩვენი დროის ეკონომიური სისტემა... არის ნაყოფი კლასსობრივ ანტაგონიზმისა, დაჩაგვრის... მაშინ ის იმეორებს ისეთ ჭეშმარიტებებს, რომლებიც შეიქმნენ საზოგადო „კომმუნისტურ მანიფესტის“ გამოქვეყნების შემდეგ (მარქსის და ენგელსის შეთხზულის“).

როდესაც თავიანთ ახალგაზდობის ისტორიას მოგვითხრობს, ენგელსი გულუბრყვილოდ ამბობს: „ძლიერ მნიშვნელოვანია ის, რომ მარტო ჩვენ არ ვყოფილვართ მატერიალისტურ დიალექტიკის გამომგონნი. მუშამ იოსებ დიეტცგენმა მოახდინა იგივე აღმოჩენა... (L. Feuerbach). ამისთანა პრეტენზიების შემდეგ გვგონია კმაროდა, მაგრამ ამ ორ მოაზრის მომხრეები კიდევ უფრო წინ მიდიან. ისინი ამტკიცებენ, რომ მათმა მასწავლებლებმა პირველად მოიხმარეს დიალექტიკური მეთოდი ისტორიულ, ეკონომიურ და სოციოლოგიურ კვლევაში, რომლის წყალობით... იმათ ნახეს კაპიტალისტურ კონცენტრაციის კანონი—ერთგვარი ეკონომიური ფატალიზმი. ისინი იყვნენ კიდევ ის, ვინც „შექმნა სოციალისტური პარტია, უმეტესად რევოლიუციონერი იმათში, რაც ისტორიას ახსოვს“ (სოციალ-დემოკრატია). „უნდა შეისწავლოთ ენგელსის ბროშიურა: L. Feuerbach, რადგან ეს არის უსრულესი გადმოცემა ამ ორ მოაზრეთა ფილოსოფიისა“ (პლეხანოვი, წინასიტყვაობა); საჭიროა, რომ კაცობრიობამ სერიოზულად შეისწავლოს მათი ახალგაზდობის დროის უმცირესი ფაქტები და ჟესტიც-კი, რადგან „ეს უკანასკნელები არიან მეცნიერულ სოციალიზმის პირველი ნაბიჯი“ (Neue Zeit., Biographie d'Engels.)

დედა აზრი, რომლითაც გაჟღენთილია მთელი მანიფესტი*), ისაა, 1) რომ ყოველ ისტორიულ ეპოქაში ეკონომიური წარმოება და მისი განუშორებელი საზოგადოებრივი წყობილება შეადგენს საფუძველს პოლიტიკურ და გონებრივ ისტორიიისას; 2) რომ თანახმად ამისა, მთელი ისტორია, მას შემდეგ, რაც პირველ ყოფილი თემობრივი მიწათმფლობელობა დაირღვა, კლასობრივ ბრძოლის ისტორია იყო, ე. ი. გაყვლეფილთა და გამყვლეფელთა ისტორია, დამონებულ და გაბატონებულ კლასთა განვითარების სხვა და სხვა გვარ საფეხურზე; 3) რომ ამ ბრძოლამ იმ საფეხურს მიაღწია, რომელზედაც გაყვლეფილი და დაჩაგრული კლასი (პროლეტარიატი) თავს ვერ გაითავისუფლებს მყვლეფელ კლასისაგან (ბურჟუაზიისაგან) ისე, რომ ამავე დროს სამუდამოდ გაათავისუფლოს მთელი საზოგადოება გაყვლეფისა, დაჩაგვრისა და კლასობრივ ბრძოლისაგან — ეს დედა აზრი ეკუთვნის განსაკუთრებით ერთად ერთს მარქსს".

გასაკვირველი დაწვნაა დიდების გვირგვინისა. ლოგიკურის მოსაზრებით, ამ ზემოდ ნათქვამში ერთი დედა აზრი კი არა, სამია: ეკონომიურ ფაქტორის შესახებ ცივილიზაციაში, კლასთა ბრძოლის შესახებ ისტორიაში და მომავალ საზოგადოების სოციალურ წყობილების შესახებ.

პირველ აზრს თვით ენგელსი საფუძვლად უდებს თავისგან გამოგონილს დიალექტიკურ, მატერიალისტურ ახსნას ისტორიისას. „მატერიალისტური შეგნება ისტორიისა" ამბობს იგი*) იმ გარემოებაზე ტრიალებს... რომ ყოველ ისტორიულ საზოგადოებაში ნაწარმოების განაწილება, აგრეთვე კლასთა ან წოდებათა შედგენა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ და რას აწარმოებს საზოგადოება და რა საშუალებას ხმარობენ ნაწარმოების გაცვლა-გამოვლისათვის".

ენგელსმა რომელის ლოგიკით გარდაქმნა ძირითადი საფუძველნი მთელის საქვეო სამეცნიერო ისტორიულ-ფილოსოფიურ დოქტრინის ვითომ ახალ კონკრეტიულ აზრის ერთ სამ ელემენტთაგანად? ისიც უნდა ვიკითხოთ, სოციალიზმის დიდებულ მამათა სწავლა, რომლითაც სოლიდარულ და კომუნისტურ საზოგადოებაში ესა თუ ის კლასი კი არა, მთელი კაცობრიობა გაერთიანებული იქნება სწორუფლებიან და განათლებულ ადამიანთა თავისუფალ ასოციაციებად განურჩევლად რასსისა და ენისა... რისთვის, ვკითხულობთ, ეს დიდებული და ჰუმნიტარული აზრი, მარქსისტებისაგან [illegible]-ბულ უტოპისტებისა (ოუენი, ს. სიმონი და ფურიე), ენგელსმა ჩაურთო უბრალო ელემენტადვე სულ იმავ ახალ საქვეო აზრისა? და შემდეგ, მესამე, დამოუკიდებელი აზრივე, და უთუოდ მთელი პოლიტიკო-ისტორიული სწავლა ქალაქთა და თემთა როლის შესახებ, მესამე წოდებისა და ხალხის პროგრესიულად განვითარებაში ევროპის პოლიტიკასა და მოქალაქობრივობაში. და ეს სწავლა არ შეიძლება მიღებულ იქმნას კონკრეტიულ ერთის აზრის მესამე შემადგენელ ელემენტად. ეს თვით ჩნდება სრულიად დამთავრებულ ისტორიულ მეცნიერებად მე-XIX-ე საუკუნისა და თვალ-საჩინო განყოფილებას შეადგენს მეცნიერებისა და უფლების ფილოსოფიაში.

მაგრამ ენგელსი ირწმუნება, რომ ყველა ერთად შეადგენს მხოლოდ ერთს აზრს და ეს „ეკუთნის განსაკუთრებით ერთად ერთს მარქსს"-ს. აქედან ლოგიკური დასკვნაა: ეკონომიური ახსნა ისტორიისა, ნამდვილი სოციალიზმი და კლასთა ბრძოლის მოძღვრებაც მარქსის აღმოჩენილია. თუ დიდებულ აღმოჩენებს მივუმატებთ ზემოდ მოყვანილს: ევოლიუცია ოჯახობისა და საკუთრებისა (მორგანისებური), მომატებული ღირებულება (სისმონდისა, ტომსონისა და სხვათებური), სამუშაო ქირის კანონი

*) მიგვყავს გ. პლეხანოვის თარგმანიდან. ჟენევა, 1900 წ.

*) ენგელსი. განვითარება სამეცნიერო სოციალიზმისა. გვ. 23.

## ფელეტონი

### პრომეთეოსი.

—

ხმა სასურველი,
ხმა სანატრელი,
ესმის გმირს, ტანჯულს
და გულს უხარებს,
სულს უფრთოვანებს
კლდეზე მიჯაჭვულს!

თუმც საზიზღარი
ძერა საზარი,
მკერდს ისევ უპობს
და სვამს მის სისხლსა,
მაგრამ ტკივილსა
სულაც ველარ გრძნობს,

რადგანაც იცის,
რომ მალე იმის
ტანჯვა-წვალება
უნდა დასრულდეს
და დაუბრუნდეს
თავისუფლება!..

ცეცხლმა ღვთიურმა,
რომელიც გმირმა
ცით მოიტაცა
და საბრალოთა,
უშემწეოთა,
კაცთა გადასცა,

უკვე თვისი ქმნა:
გონება იხსნა,
განავითარა
და მიწის შვილი,
მონად შექმნილი,
ღმერთს დაადარა!..

ხალხი განახლდა,
აღსდგა, ამაღლდა,
იგრძნო თვის ძალა;
ფეხში შეყრილი
მძიმე ბორკილი
შემოიცალა

და ჰა დადგა დრო,
ტკბილ-სანეტარო,
დრო გარდუვალი
სასტიკ განკითხვის,
შურის და რისხვის,
როცა მტარვალი

უნდა დაემხოს,
უნდა მოესპოს
ქვეყნად უფლება
და კვლავ ეღირსოს
გმირს პრომეთეოსს
თავისუფლება!..

ხმა სასურველი,
ხმა სანატრელი,
ესმის გმირ ტანჯულს
და გულს უხარებს,
სულს უფრთოვანებს
კლდეზე მიჯაჭვულს!..

დუტუ მეგრელი.

1906 წ.

—

(ტიურგო რიკარდოსებური), გამოჩნდება, რომ მარქსმა და ენგელსმა აღმოაჩინეს ყველა კანონები კაცობრიობის სოციალურ და ისტორიულ განვითარებისა. ამასაც უმეორებენ განუწყვეტლად თავიანთ მკითხველებსა და მსმენლებს სოციალ-დემოკრატების პუბლიცისტები. პატიოსან დანიჭიერ მუშებს, რომელნიც კატორგულ შრომას ეწევიან თავიანთ დამქირავებელთათვის, არც დრო ჰქონდათ და არც საშუალება შეემოწმებინათ ენგელსის სიტყვები, და იმათ წონა ოქროდ მიიღეს ყოველი იმისი საშინელი მტკიცება.

ეს ციტატები საკმაოთ მკაფიო არიან, მაგრამ უკეთესებიც არიან. ჩვენ ვიცით ეხლა, რომ მარქსი და ენგელსი იყვნენ ისინი, ვინც აღმოაჩინა სოციალურ ცხოვრების მუდმივი კანონები.

და არავის მათზე ადრე ეჭვიც-კი არ დაბადებია ამ კანონების არსებობაზე— არავის, გვიმტკიცებენ ჩვენ სოციალ-დემოკრატები.

„გერმანიამ, ამბობს ბებელი, მიიღო თავის თავზე მომავლის გიგანტურ ბრძოლაში წინამძღოლობა. ის კიარა, ის დანიშნულია ამ როლისთვის თავის განვითარებით და გეოგრაფიულ მდგომარეობით... უბრალო შემთხვევით კი არ არის ის, რომ გერმანელებმა აღმოაჩინეს აწინდელ საზოგადოების დინამიკა და ჩაჰყარეს სოციალიზმის მეცნიერული საფუძველი. ამ გერმანელებში პირველი ადგილი უჭირავს მარქსს და ენგელსს; მათ შემდეგ მოჰყვება ლასსალი, როგორც ორგანიზატორი მუშათა მისსის (La Femme, დასკვნა).

ეს საოცარი ციტატა სავსებით სოციალდემოკრატიულ ხასიათის თავის ტრაბახით გვასწავლის ბოლოს იმას, რაზედ ამყარებდნენ მარქსი და ენგელსი თავის პრეტენზიას მსოფლიო დიქტატურაზე: გერმანია კაცობრიობის სათავეშია, ის ორი დიდება თავის ქვეყნის, მაშასადამე ისინი მთელი უვიც კაცობრიობის მაღლა იდგნენ...

ვ. ჩერქეზიშვილი.

## პოლიტიკური თვალთმაქცობა

### I

რუსოფილები სისხლით, **სტაროვერები თვალთმაქცობით** და ქვეწარმავალნი ზნეობით ეძებენ თავისუფლების იდეალს ისტორიულ ალპების გადაღმა, იქ, სადაც იყო ჭაობები, სლავიანთა ტყეები და ვერ წარმოუდგენიათ, რომ ნამდვილი თავისუფლება ისეთ ურთიერთობაშია ტყის მხეცების თავისუფლებასთან, როგორც უმთავრობო საზოგადოებრივ ორგანიზაციის თავისუფლება დურნოვოს თავისუფლებასთან.

ბევრს შეიძლება მეტად ეჩვენოს დანგრევის კრიტიკა იმის, რაც ისედაც თავისთავად იხრწნება, ინგრევა და სდგას ყველა ისტორიულ კრიტიკის დაბლა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის განუკურნავ სენით ავათმყოფი და თითქმის გახრწნაში ჩავარდნილი ლეში, რომელსაც ჰქვია ძველი და ახალი რეჟიმი ადამიანთა საზოგადოებისა, ძველი და ახალი ხოლერა მაინც რჩება კრიტიკის საგნათ, როგორც მკვლელი თავისუფლების—სინიდისზე ხელ აღებული დამნაშავე, რომელიც სდგას ყველა კაცობრიობის დაბლა, წარმოადგენს უსულმდაბლეს მოქალაქეს უარყოფითი საზოგადოებრივობის უმდაბლეს საფეხურზე, რჩება **ჯალათის** უარყოფითი მოქმედების ობიექტად.

ამისთანების წინააღმდეგ ომი და დანგრევა ყველა დამპალ შენობებისა, რომელთა ნგრევის ღრიანცელი არ აძლევს მოსვენებას შიგ მცხოვრებთ, არის ნამდვილი სარწმუნოებრივი წმინდა ომი კრიტიკის წინააღმდეგ დოგმატისა— თავისუფლების წინააღმდეგ მონობის და ავტორიტეტისა; თუმცაღა ამნაირი კრიტიკის ობიექტი დაბლა სდგას და არ არის ყურადღების ღირსი, როგორც საზიზღარი, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის იმოდენათ საზიზღარია, რამდენადაც შეზიზღებული.

საქმე იმაშია, რომ საზიზღარია წარსულის ხსოვნის ლიკვიდაციისთვის და სოციალური ატმოსფერის, ჰაერის გა-

## ახალგაზრდათა მიმართ

(პ. კროპ—ნისა)

### I

ჩვენ განზრახვა გვაქვს ახალგაზრდებს მოველაპარაკოთ. დაე მოხუცთ,—გულით მოხუცთ—უმჯობესია ეს წიგნი შეჰკეცონ, თავი არ შეიწუხონ კითხვით: ეს იმათ ვერაფერს ვერ ეტყვის.

წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ ოც წელს მიაღწიეთ. სწავლა დაასრულეთ და ჩქარა ცხოვრებაში უნდა გამოხვიდეთ. თქვენი ტვინი, უნდა ვიფიქროთ, თავისუფალია ყოველგვარ წინასწარ მსჯელობისაგან, რომლითაც სცდილობდნენ აევსოთ იგი: ეშმაკისა თქვენ არ გეშინიანთ, ქადაგებებს ყურს არ უგდებთ და არც სხვა რამ ცრუმორწმუნეობანი გწამთ. რაც უფრო მნიშვნელოვანია—თქვენ არ ეკუთვნით გახრწნილ საუკუნის იმ საცოდავ ახალგაზრდათ, რომელნიც, უკანასკნელ მოდაზე ჩაცმულნი, უსაქმოდ დაეხეტებიან და სიყრმიდანვე მხოლოდ იმაზე ოცნებობენ, რომ როგორმე დასტკბნენ ცხოვრებით, რადაც უნდა დაუჯდეთ ესა... წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ გული გაქვთ და იგი სხვა რამ უკეთესისათვის გიცემთ.

და აი, თქვენს წინ უჯიათად დგება საკითხი: — „რა ვქნათ“. ეს საკითხი თქვენს წინ ტრიალებს, გტანჯავთ. როგორც ყმაწვილი კაცი, თქვენ მართლაც გრძნობთ, რომ რაკი ხელობა ან მეცნიერება შეგისწავლიათ,—რასაკვირველია, ხალხის ხარჯით,—უნდა ისარგებლოთ თქვენის ცოდნით, იმიტომ-კი არა, რომ სხვისის შრომით იცხოვროთ, არამედ იმისთვის, რომ თქვენ თითონ იქმნეთ რისთვისმე გამოსადეგი. მართლაც, ძალიან გარყვნილი უნდა იყოს ადამიანი, რომ, ამ წლოვანებაშიაც-კი, არ სურდეს თავის ცოდნით, ჭკუით ან ენერგიით შეძლების დაგვარი დახმარება გაუწიოს სიღარიბესა და უვიცობაში ჩაფლულ ხალხის განთავისუფლების საქმეს.

თქვენ ოცნებობთ ამაზე,—ასეა განა? მაშ მოვიფიქროთ რა ვქნათ, რომ თქვენი ოცნება სინამდვილედ იქცეს.

* * *

მე არ ვიცი როგორს პირობებში დაიბადეთ თქვენ. იქნება თქვენ ბედმა გაგიღიმათ და მოახერხეთ, რომ სერიოზული ცოდნა შეგეძინათ: თქვენს წინ გადაშლილია ასპარეზი ექიმისა, ლიტერატორისა, ან მსწავლულისა,—ფართო ასპარეზი, რომელზედაც ბევრი ძალაა საჭირო. ან, იქნება, თქვენ კარგი ხელოსანი ხართ; მეცნიერებაში ბევრის შეტყობა ვერ მოახერხეთ, მაგრამ სამაგიეროდ ახლო გაეცანით მძიმე შრომით ცხოვრებას მუშისას.

დავიწყოთ თუნდაც პირველ წინადადებიდან და მერე დავუბრუნდეთ მეორეს. წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ უნდა გახდეთ,—ვთქვათ, თუნდ ექიმად.

ხვალვე ღარიბულად ჩაცმული კაცი მიგიწვევთ ავადმყოფთან. იგი გაგატარებთ ჭუჭყიან, ჩამჭვარტლულის გზით. ლამპის მკრთალ სინათლეზე თქვენ ადიხართ ორ, სამ, ოთხ სართულს, ტალახით მოლიპულ კიბეზე და ცივ, ბნელ

წმენდისთვის იმ სიმყრალიდან, რომელიც საზოგადოებას აღრჩობდა წარსულშიც და სულს აღაფვიებს აწმყოშიც თავისი სიჩლუნგით, შემოფარგლულობით, მუდამ უკან ჩამორჩენილობით და მტარვალობით; რომელიც თავის ტლანქ და სისხლში გასვრილ ხელით მუდამ უკეთებდა სამთავრობო სისტემის სარჩოს იმ სურათს, რომელიც მის ბუნებისაგან მიუწვდომელი იყო; რომელიც ისე ექცევოდა საზოგადოებას, თუ ვინიცობაა ეს უკანასკნელი ვერ დაეტევოდა მთავრობისგან შეთითხნილ ქერქში, როგორც მოექცნენ მტრები მკვდარი ვალენშტეინის სხეულს—სხეულს, რომელსაც გადაჭრეს სიგრძე იმიტომ, რომ არ ჩაეტია კუბოში; რომელიც სოციალურ ბრძოლაში იმ ცხოველის ზურგზე საძაგელ პარაზიტის სახით შემჯდარი გადიოდა ფონს, რომლის სისხლსაც ის სწოვდა და სწოვს თავისი დღე და მოსწრება; რომელიც თავისი პროგრესიულ არარაობით რჩებოდა რჩეული არარაობა სამმართველო შეთქმულთა შორის საზოგადოების წინააღმდეგ.

სოციალური ბრძოლა, რომელმაც თანამედროვე საზოგადოებაში მიაღწია უმწვერვალეს წერტილს, არის შედეგი იმ ბევრისთვის უხილავ, ფარულ განუკურნავ საზოგადოებრივ სენისა, რომელსაც კერძო საკუთრება ჰქვია და რომელიც თავის დასაბუთებას პოვებს ძალაში. ყველა დაფარული და ცხადი ჩამომავლობითი სენი საზოგადოებრივ ორგანიზაციის არიან ისე შეგუებული და შეზელილი ერთი-მეორესთან, როგორც ამას მოითხოვს პრინციპი სოციალურ ექვივალენტობისა. ესენი დაურღვეველ მიზეზობრივ ურთიერთობაში არიან იმ ავადმყოფურ მდგომარეობასთან, რომელშიც იმყოფებოდენ და იმყოფებიან ყველა დროის და სივრცის ადამიანთა ავტორიტარული საზოგადოებანი, **ამიტომ მოსპობა ერთის** იქნება მოსპობა მეორესი დროში დაუცილებლად, მაგრამ ისე კი, რომ თავიანთ „დამტარებელს“, თან გადაიტანენ, ამის შემდეგ და მხოლოდ ამის შემდეგ დაიბადება და აღორძინდება ახალი საზოგადოებრივი ცხოვრება, რამდენიმედ იმ ძველ ელემენტებისაგან, რომლებიც ძველ წესში წარმოადგენდნენ ახალს და ახალში-კი შევლენ როგორც გახრწნასგადარჩენილი ძველი ელემენტები—მასალა.

დღემდი ყოველთვის ისტორია იყო ტკივანი თავიდან სალ თავზე ბრალის მოხვევ: მაგრამ მიუხედავათ ამისა ყველა პოლიტიკური პარტიები ამ გვარი საქციელის განგრძობის სურვილს აცხადებენ, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც დამონავებულთა, პოლიტიკურად და ეკონომიურად ჰაქურდულ-გაძარცვულთა ემანსიპაციის ერთად-ერთ მებაირაღტრეთ და მონოპ[illegible]არებენ თავის თავს. ყველა ძველი რეჟიმი, იგრძნობს რა თავის სიკვდილის მოახლოვებას, თამაშობს ტრაგედიას ძლიერ საგულისხმოს თავის ჰკუისთვის და ძლიერ სამტკივნეულოს თავის სხეულისთვის, მაგრამ ამ გამოცდილებით ჰკუა დასწავლილი, ისტორიულ სცენაზე აქტიორობაში კარგი დახელოვნებული ხელად შეიცვლის გრიმს, თავის ისტორიულ ტანთსაცმელს, გადაიქცევა თავის აჩრდილად, თავის მსგავსებათ და იწყებს კომედიას თავის ნამდვილ გრძნობებისას; ამიტომ ბევრი, ვინც მართველობას ტრაგიკულ მდგომარეობაში აყენებდა და მათ შორის ემანსიპაციის მონოპოლისტებიც თავის შეუმჩნევლად გამოდიან გმირებათ კომედიაში. ესხილის ერთ თხუზულებაში საბერძნეთის ღმერთები სასიკვდილოდ დაიჭრებიან და ტრაგიკულ მდგომარეობაშივარდებიან, შემდეგ ლუკიანის მახვილად დაწერილ „დიალოგებში“-კი კომიკურად კვდებიან. როდესაც **ძველი რეჟიმი** განიცდის გავლენას მტრულ და მის დამრღვეველ ძალისას, მაშინ თამაშობს ტრაგედიას და კვდება. მაგრამ როგორც მოეფარება თავის ბეც პოლიტიკურსავე მოპირდაპირეს, გადაიქცევა თავის აჩრდილად, თავის მსგავსებად და მასთან ერთად თამაშობს პარ-

---

პაწაწა ოთახში ხედავთ ავადმყოფ დედაკაცს, ჭუჭყიან ძონძების გროვაზე მწოლარეს, ჭუჭყიან ძონძებ წაფარებულს. ფერმკრთალი, ღონემიხდილი, ნახევრად შიშველ-ტიტველი ბავშვები დამფრთხალნი შემოგყურებენ თქვენ. ქმარი გეტყვით, რომ ის მთელის თავის სიცოცხლის განმავლობაში ცამეტ და თოთხმეტ საათს მუშაობდა დღეში, მაგრამ ახლა, აგერ ოთხი თვეა, რაც უსამუშავროდ დარჩა. იმის ხელობაში ეს იშვიათი არ არის: ყოველ წელიწადს სამი-ოთხი თვე შეჩერებულია ხოლმე მუშაობა. მაგრამ წინად, როცა ამას აღარ ჰქონდა სამუშაო, ცოლს ცოტა რამე მაინც შემოჰქონდა თავის ნამუშავარი: რეცხავდა—იქნება თქვენს პერანგებსაც,—და დღეში ექვსი შაური მოჰქონდა. მაგრამ ეხლა, აგერ ორი თვეა ლოგინად ჩავარდნილია და სიღარიბემ თავისი ბუდე გაიკეთა ამ სახლში.

რას წამალს გამოუწერთ ავადმყოფს, ჩემო ექიმო, თქვენ, რომელმაც ხელად გაიგეთ, რომ მიქსტურებით აქ ვერას გააწყობთ, რომ მიზეზი ავადმყოფობისა—საერთო სისხლ-ნაკლებობა, უჰაერობა და შიმშილია?—კარგ ნაჭერ შემწვარ ხორცს დილით, წმინდა ჰაერზე გასეირნებას, მშრალს, კარგად განიავებულ სადგომს? როგორი მწვავე დაცინვაა! ნუთუ თვითონ ავადმყოფი, თქვენის რჩევის მიუცემლადაც, არა სჭამდა, თუ კი ჰქონდეს რამე საჭმელი!

თუ თქვენ გულკეთილი ადამიანი ხართ და თქვენი მარტივი პატიოსანი ლაპარაკი მოეწონება უბრალო ხალხს, კიდევ ბევრ რამეს გაიგებთ იმათგან. გეტყვიან, რომ ამ ფიცრის კედელს იქით წევს მოუთოვე დედაკაცი: ეს იმის გულსაკლავი ხველა ისმის. ქვემოთა სართულში ყველა ბავშვები რაღაც ცივებით ავადმყოფნი წვანან; სულ ქვემოთ, სარდაფში კი მრეცხელი ქალიც ველარ გააღწევს გაზაფხულამდე; მეზობელ სახლში კიდევ უარესია.

რას ურჩევთ ყველა ამ ავადმყოფებს? თავში გიტრიალებთ სიტყვები: „ჰაერის გამოცვლა, ნაკლები მომქანცველი შრომა“, მაგრამ ენა არ გემორჩილებათ ამის გამოსათქმელად და თქვენ გულჩათუთქული წყევლა-კრულვით გამოდიხართ იქიდან.

ხვალ თქვენ ისევ თქვენს უბედურ ავადმყოფებზე ფიქრობ, რომ თქვენი მოყვარე-კარიერისტი გიამბობთ, რომ იმას აახლოეს ლაქია ერთის მდიდარ სახლიდან. ისიც მიიწვიეს ავადმყოფ ქალთან, რომელიც მშვენიერ სადგომში დგას, რომელიც ბალებში ღამის თევით მოქანცულა და რომლის სიცოცხლეც ჩაცმა-დახურვაზე ზრუნვასა, ვიზიტებსა და ბუზღუნა ქმართან ჩხუბში მიდის. თქვენმა ამხანაგმა იმას უფრო გონიერი ცხოვრება ურჩია, ნაკლებად მხურვალე საჭმელი, მეტი მოსვენება და საზღვარგარეთ მოგზაურობა. ექიმმა არ დაივიწყა ისიც, რომ ოთახში გიმნასტიკა ეხმარნა ქალს, რომ ამას რამდენადმე ხელით მუშაობის მაგიერობა გაეწია.

ერთი ჰკვდება იმისგან, რომ თავის სიცოცხლეში არ გამაძღარა და არ

ლამენტარულ კომედიის მანამ, სანამ ორივეს სული არ ამოხდება გაუთავებელ კამათში, არ დაიხრჩობიან სიტყვათა, წარღვნაში არ გაილეკებიან აზრების უდაბნოში და ჩავარდებიან მოქმედების სიდამბლეში; მათი სიკვდილი იმით იქნება განსხვავებული უბრალო მომაკვდავის სიკვდილისაგან, რომ დამტირებელი არავინ ეყოლება და დამაფლავებელი კი ყველა, ვისაც მათი სენი არ გადაედება.

ეხლა ყველას თავისი ბატონი ჰყავს და ყველა ბატონს თავისი დაქირავებული მონა თავის ქარხანა-სახელმწიფოში, მაგრამ ნუგეშს იმაში ვხედავდეთ უნდა თურმე, მონოპოლისტთა სიტყვით, რომ შემდეგ ყველას ერთი ბატონი ეყოლება, ყველა ერთ ცენტრალისტური სახელმწიფოს მონა იქმნება, კარგი იმედია! განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაჩაგრული და გაქურდული მუშა ხალხი იმის მაგივრად, რომ განთავისუფლდეს დღევანდელ სოციალურ „კატორგიდან“ — იძულებითი მუშაობიდან, თავის საპყრობილეს ერთი ან მეტი ზედამხედველიდან, თავის დამცირებულ არაკაცურ მდგომარეობიდან, უნდა ჩავარდეს პარლამენტარულ მრავალ ღმერთიანობის ქსელში და იმ სიარ მდგომარეობაში, რომელზედაც ერთი ფრანგი, რომელსაც გაეგო რომ ძაღლებზე გადასახადი არსდებოდა, ამბობდა: „საწყალო ძაღლებო, უნდათ, რომ თქვენ ისე მოგექცნენ, როგორც ადამიანებს ექცევიანო!“

შ. გ.

---

## ეკონომიურ მონიზმის კრიტიკა

(გაგრძელება)

კაუცკისთვის ბოკლი დიდი უმეცარია ისტორიაში; კაუცკი ამბობს: „იმან არ იცოდა (საწყალი ბოკლი!) კიდევ, რომ სხვა და სხვა ეკონომიური კანონები შეეფერებიან სხვა და სხვა სოციალურ ფორმებს; ის არ გასცილებია კიდევ ლიბერალურ პოლიტიკურ ეკონომიას, რომლისთვისაც საქონლის განვითარებულ წარმოების კანონები იყვნენ ყველა წარმოების ფორმის ბუნებრივი კანონი“. ნაცარქექიამ მუგუზლით ზღვის დაწვა მოინდომაო, ამბობენ; არ არის საკვირველი, რადგან ეს მას შესაძლებლად მიაჩნდა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ კაუცკის ამ სიტყვებიდან ჩანა, რომ მარქსიზმის ერთ-ერთ ღირსებათაგანი, დიალექტიკური განსაკუთრებული ისტორიული კანონების ამოჩენაა. უკვე ვიცით რამოდენათ არის ეს მართალი, მაგრამ როდესაც ამ აზრს დაჟინებით გაიმეორებენ, ჩვენც უნდა ვეცადოთ წინაალმდეგის გამეორება. რიკარდო, მაშინ როდესაც ის ფორმულიროვკას უშვრება თავის ღირებულობის თეორიას, ის ცდილობს, [illegible] უნაყოფოთ, გამოთქვას ისეთი კანონი, რომელიც არ არის დამოკიდებული დროზე და სივრცეზე, იმიტომ რომ ის უფრო მეტაფიზიკოსი იყო, ვინემ მისი მასწავლებელი სმიტი. ეს უკანასკნელი მარქსზე ერთი საუკუნით ადრე აღიარებს, რომ ყველა ისტორიულ ხანას თუ არა ორს მაინც თავისი საკუთარი კანონი აქვსო, ზევით მისი აზრი შეეხებოდა პირველ ყოფილ ხანას; ეხლა ვნახოთ რას ამბობს ის კაპიტალისტურ ხანაზე: „მაშინვე, როდესაც გაჩნდება მოგროვებული თანხები რომელიმე კერძო პირის ხელში, ზოგიერთი მათგანი, რასაკვირველია, მოიხმარებენ ამ თანხებს შრეწველ კაცების სამუშავებლად, რომლებსაც ისინი მიაწოდებენ მატერიალებს და საკვებს, იმისთვის, რომ გააკეთოს მოგება ნაწარმოების გაყიდვაში ან იმაში რა ღირებულობასაც **უმატებს** მუშების მუშაობა მატერიალებს... მნაირად ღირებულობა, რომელსაც მუშები **უმატებენ** მასალას, გაიყოფა ორ ნაწილად, რომლებიდანაც ერთი იხდის მათ ქირას, მეორე მოგებას, რომელსაც ანტრეპრენიორი აკეთებს ფონდის ჯამზე, რომელიც მან მოიხმარა მუშების ქირებში და მასალებში ავანსად“. ეხლა ვხედავთ მაინც, რომ სმიტი არჩევს ერთი მეორისაგან ორ ეკონომიურ ხანას: ერთი

---

დაუსვენია, მეორე კი ჰკნება იმისგან, რომ მთელ თავის სიცოცხლეში არ უცდია რა არის შრომა...

თუ თქვენ ეკუთვნით იმ უგულოთა რიცხვს, რომელნიც თვით უსაშინელეს საზიზღარ სანახაობასაც ლუდითა და ყბედობით იმსუბუქებენ, ცოტ-ცოტათი ამ ერთი მეორის წინაალმდეგობას შეეჩვევით და ხორცის მჭამელ ინსტიქტის დახმარებით ცოტ-ცოტათი კარიერისტთა წყებაში გადახვალთ, რათა აშორდეთ სიღარიბის სურათს.

მაგრამ თუ თქვენ ნამდვილი „კაცი“ ხართ, თუ თქვენი გრძნობა მიჩვეულია ყოველთვის თავი იჩინოს შესაფერ მოქმედების დროს, თუ პირუტყვულმა ბუნებამ არ მოჰკლა თქვენში მოაზროვნე ადამიანი, მაშინ თქვენ ერთ მშვენიერ დღეს ეტყვით თქვენს თავს: — „არა, ეს „სულმდაბლობა და დანაშაულობაა“, ამას იქით ასე განგრძობა შეუძლებელია. სენი კი არ უნდა არჩინო, უნდა აიშორო. თვით უმცირესი გაუმჯობესება ხალხის კეთილ-დღეობისა ნახევრად შეამცირებდა სნეულებას. ჯანდაბას წამალი! სინათლე, ჰაერი, საზრდო, ნაკლებად მომქანცველი შრომა,— აი საიდან უნდა დავიწყოთ. უამისოდ ექიმის ხელობა ბრიყვული შარლატნობა და მოტყუებაა“.

ამ დღეს მიხვდებით თქვენ რა არის სოციალიზმი. მოგინდებათ უფრო ღრმად ჩაუკვირდეთ იმის მოძღვრებას და თუ კაცთა მიმართ სიყვარული თქვენთვის ცარიელი სიტყვა არ არის, და თუ სოციალურ საკითხთა შესწავლაში შეიტანთ იმავ სასტიკ მეთოდს ინდუქციისას, რომელსაც თქვენ მეცნიერებაში შეჩვეულხართ, უეჭველად ჩვენს მხარეზე გაჩნდებით. თქვენ ჩვენთან ერთად იშრომებთ სოციალურ ცვლილებისათვის.

* * *

მაგრამ იქნება, უარი სთქვათ ექიმის პრაქტიკაზე და მეცნიერებაში დაუწყოთ ძებნა იმ უმაღლეს ნუგეშს, რომელსაც ბუნების საიდუმლოთა შესწავლა და გონებრივი შრომა იძლევა. მსგავსად ასტრონომისა, ფიზიკოსისა და ქიმიკოსისა, თქვენ მიეცემით წმინდა მეცნიერებას. მაგრამ რის გულისთვის იზამთ ამას? — იმ სიტკბოებისათვის, რომელსაც მეცნიერება იძლევა? ამ შემთხვევაში, თქვენ, მეცნიერი, მეცნიერების გულმოდგინე მიმდევარი, იმიტომ რომ იგი გაძლევთ სიტკბოებას, რითი-ღა განირჩევით ლოთთაგან, რომელნიც ასევე ეძებენ კმაყოფილებას და ღვინოში პოულობენ იმას? მსწავლულმა, რასაკვირველია, უკეთესი წყარო აირჩია თავის სიამოვნებისათვის, რადგან იმის კმაყოფილება უფრო ძლიერიცაა და უფრო მტკიცეც. მაგრამ განსხვავება ხომ ამაშია! ლოთიცა და მეცნიერიც ორივე თავის პირად კმაყოფილებას მისდევს, ორივეს ერთი და იგივე ეგოისტური მიზანი აქვთ.

მაგრამ არა, ასეთ ეგოისტის ცხოვრებას თქვენ არ ისურვებთ. მეცნიერებისთვის შრომის დროს, თქვენ სახეში გეყოლებათ კაცობრიობა და კაცობრიობაზე ფიქრი იქნება თქვენი ხელმძ-

პირველ-ყოფილი, ძველი და მეორე კაპიტალისტური. ცხადია ეს სმიტისთვის იმიტომ, რომ თანხა და მუშაობა მის თვალში შორდებიან ერთი მეორეს თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოებაში. ის ამბობს: „მასალების და სანოვაგის მესაკუთრეს არ ექმნებოდა ინტერესი ეხმარა მუშები, რომ არ ჰქონებოდა იმედი მათი ნამუშევარიდან რამე მეტის და არა მარტო განახლება (remplacement) თავის თანხის, არ ექნებოდა ინტერესი მოეხმარა უფრო დიდი თანხა ვინემ პატარა, თუ მოგება არ იქნებოდა ურთიერთობაში მოხმარებულ თანხასთან“.

მოყვანილი სიტყვებიდან ჩანა, რომ არა თუ დიალექტიკური, ისტორიული კანონები, არამედ მეტ-ფასიც—მარქსის mehrwerth, არ აღმოუჩენია მარქსს, არამედ ამ მეტ ფასის არსებობა კაპიტალისტის ჯიბის გასასქელებლად იცოდა სმიტმა მაზე ძლიერ ადრე. იცოდა ეს არა მარტო სმიტმა, არამედ მილმა, პრუდონმა, სისმონდიმ (surplus—value) და ბლანკიმ, რომელიც აცხადებდა თანხმობას თუ ვინმე დაიძახებდა, გაუმარჯოს კაპიტალს და არა კაპიტალიზმსო. სმიტი ძლიერ კარგად ხედვიდა, რომ წმინდა სარგებელი, მოგება - მეტ-ფასი არის მეტ-მუშაობის, კაპიტალისტური ხორცმეტობის, გადაუხდელი მუშაობის ნაყოფი. ის ამბობს: „დაწყებული იმ წამიდგან, როდესაც რომელიმე ქვეყნის მიწა შეიქმნება კერძო საკუთრებათ, მესაკუთრეებს, როგორც ყველა სხვა კაცებს, უყვართ მომკან იქ, სადაც არ დაუთესიათ, ისინი თხოულობენ fermaqe-ს მიწის ბუნებრივ ნაწარმოებშიც-კი, მყარდება დამატებითი ფასი (ეს არის დაწერილი ბრმებზე მხედველთა სასარგებლოთ. ავტ. შენ.) ტყეების შეშაზე, მინდვრის ბალახზე და მიწის ყველა ბუნებრივ ნაყოფზე, რომლებიც, როდესაც საერთო მფლობელობაში იყვნენ (possdè en commun. როგორც ჩანა, ადამ სმიტს პირველ-ყოფილ კომმუნიზმზეც ჰქონებია წარმოდგენა. ავტ. შენ.) უღირდა მუშას მხოლოდ მოგროვებათ და რომლებიც ეხლა მეტად უღირთ. საჭიროა გადაიხადოს მოგროვების ნებართვაში, საჭიროა დაუთმოს მიწის მესაკუთრეს ნაწილი იმის, რასაც ის აგროვებს ან რასაც ის წარმოშობს თავის მუშაობით“.

აქიდან ჩანა, რომ სმიტისთვის ცხადია ისტორიული კანონების და მეტ-ფასის არსებობა სოფელშიაც. თომა მორუსი თავის უტოპიაში ნამდვილ კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს თავის დროის უფლებრივ ორგანიზაციას, კერძო საკუთრებას, წარმოებას და მრეწველობას. კეტელე (La physique sociale) თავის ცნობილ თხზულებაში დიდ მნიშვნელობას აძლევს ეკონომიურ ფაქტორს, შეაქვს მეცნიერული დეტერმინიზმი ისტორიაში და ამნაირად ისტორიულ განვითარებას იკვლევს, როგორც მიზეზობრივ პროცესს. ვოლნეი, ჰელვეციუსი პოლიტიკაში და მორალში მატერიალისტები იყვნენ. [illegible] უფრო ადრე ფილოსოფიაში—დეკარტის მსოფლიო მექანიციზმი—ცხოველი-მანქანა შეივსო დელამეტრიის მექანიციზმით—კაცი-მანქანა, ეს უკანასკნელი შევსებულია ჰოლბახის მექანიციზმით—მანქანა-საზოგადოებით. დეკარტის აზრით მსოფლიო მანქანა იყო. მანქანა იყო აგრეთვე ცხოველიც, ადამიანი-კი გამორიცხა ამნაირ კატეგორიიდგან. ლამეტრიის აზრით ადამიანიც მანქანა არის; ჰოლბახის აზრით საზოგადოებაც მანქანაა. მარქსის აზრით მუშა კაპიტალისტის მანქანა არის. მარქსი ტეხნიკის მომხრე იყო ისტორიაში, ისინი ტეხნიკის მომხრე იყვნენ არა მარტო ისტორიაში, არამედ მთელი მსოფლიოს ისტორიაში.

შ. გ.

---

## მუშათა მოძრაობა

### ცოტა რამ საფრანგეთის მუშათა მოძრაობის დასახასიათებლად.

მიუხედავად იმისა, რომ მთელის ქვეყნის სოციალისტურ ბრძოლასა და მუშათა მოძრაობას საერთო მიზანი და დანიშნულება აქვს, ამ შემთხვევაში ყველა ქვეყანას ეტყობა თავისებურობა, რომელიც ამ მოძრაობას დამახასიათებელ დაღს ასვამს. თავისებურობა ეტყობათ იმ ძველსა და მუდამ ახალს ბრძოლას სოციალიზმის ორ ფრაქცია-

---

ლვანელი იმაში, თუ რა შრომა აირჩიოთ.

სოაცარი შეცდომაა! და მერე რომელმა ჩვენგანმა არ გადაუხადა ხარკი იმას, როდესაც პირველად შეუდგა მეცნიერებას!

ასეთს შემთხვევაში, თუ თქვენ მართლა კაცობრიობისათვის ფიქრობთ, თქვენ უეცრად თვალწინ გიდგებათ სასტიკი ეჭვი. თუ თქვენი ტვინი მიჩვეულია მხოლოდ დალაგებით აზროვნობას უეშმაკოთ, თავის მოუტყუებლად, მაშინვე შენიშნავთ, რომ თანამედროვე საზოგადოებაში მეცნიერება ფუფუნების საგანია,—მშვენიერ ფუფუნებისა, რომელიც უმცირესობის სიცოცხლეს ამკობს, ხოლო უმრავლესობისათვის სრულიად მიუწვდომელია.

მართლაც, აგერ ერთ საუკუნეზე მეტია, რაც მეცნიერებამ საფუძველი დაუდო საღ შემეცნებას ქვეყნის გაჩენის შესახებ. მაგრამ ქვეყნად განა ბევრია ისეთი ჭკუით და ცოდნით დაჯილდოვებული ადამიანი, რომელიც გაიზიარებს ამ შემეცნებას და შეითვისებს მას. ისინი მხოლოდ რამდენიმე ათასი არიან, გაფანტულნი უხეშ ცრუმორწმუნეობით დაშინებულ მილიონ ხალხში და ამიტომაც თვითვე აუცილებლად ემორჩილებიან ყოველგვარ ცრუმორწმუნე მატყუარებს.

ან თვალი გადაავლეთ იმას, რა გაკეთებულა მეცნიერებაში ხორციელ და ზნეობრივ სიმრთელისათვის. ეს მეცნიერება ჩამოგითვლით ყველაფერს, რაც-კი საჭიროა ჩვენის ჯანმრთელობის დასაცველად, იგი დაგისახელებთ ყველაფერს, რაც აუცილებლად საჭიროა იმისთვის, რომ ქალაქები ყოველ გვარ გადამდებ სენთა საბუდრად არ იყოს; გაჩვენებთ ჭეშმარიტ გზას სულიერ და გონებრივ სიმრთელისას. მაგრამ ყველა ეს უზარმაზარი შრომა მკვდარ ასოდ არ დარჩება ჩვენს წიგნებში? ანა და შესაძლებელი კია სხვაგვარად იქნეს ესა, როდესაც მეცნიერებაზე მხოლოდ უმნიშვნელო რიცხვს განსაკუთრებულ წოდებისას მიუწვდება ხელი, როდესაც ქონების უთანასწორობა საზოგადოებას ორ კლასად ჰყოფს—შრომის მცირე ქირით მცხოვრებთა და ამათ ნაშრომით მცხოვრებთა კლასად—რისგანაც ხდება ის, რომ ადამიანების ცხრა მეათედისათვის ყოველი რჩევა ამაოდ იკარგება.

შევრის შესაფერ მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა კიდევ, მაგრამ სიტყვას ნუ განვაგრძობთ. გამოდით მხოლოდ თქვენის ფაუსტისებურ კაბინეტიდან, სადაც სინათლე ისე ვერ მიადგება წიგნებს, თუ არ დამტვერიანებულ ფანჯრის ჯუჯრუტანებიდან, მიმოიხედეთირგვლივ და ყოველ ნაბიჯზე ჰპოვებთ ზემოდ ნათქვამის დამტკიცებას.

არა მეცნიერულ ჭეშმარიტებასა და აღოჩენებში ვგრძნობთ ჩვენ ეხლა ნა-

თა შორის — სახელმწიფოს მომხრეთა და სახელმწიფოს მოწინააღმდეგეთა შორის,—რომელიც ინტერნაციონალიდან დაიწყო და, ეჭვი არ არის, კიდევ დიდ ხანს გაგრძელდება. საფრანგეთში ეს ბრძოლა უმთავრესად მუშათა წრის ორგანიზაციებსა და პროფესიონალურ სინდიკატებში ხდება და მით უმეტესი მნიშვნელობა აქვს, რომ აქ საქმე ამა თუ იმ თეორეტიულ პროპაგანდასა, ან ამა თუ იმ პრინციპიალურ უთანხმოებაზე კი არ არის, არამედ პირდაპირი და დამოუკიდებელი საქმე აქ ის არის, როგორს მიმართულებას მიიღებენ ხვალ, ამ საათში, მუშათა ორგანიზაციები და რა ყალიბში ჩამოისხმება მახლობელი სარევოლიუციო მოძრაობა. საკითხი ძალიან მკაცრათა და გარკვეულად არის დაყენებული: ხელში ჩაგდება მმართველობისა და რევოლიუცია ზემოდან ქვემოდ თუ საერთო გაფიცვა, რომელსაც მოჰყვება პირდაპირი ექსპროპრიაცია კაპიტალისტებისა მუშათაგან და შრომის მოწყობა პროფესიონალურ ჯგუფებად, ესე იგი, რევოლიუცია ქვემოდან ზემოდ? საინტერესოა, რომ მუშათა სინდიკატების წევრთა აზრზე ცოტა გავლენა აქვს საფრანგეთის სოციალისტთა შორის ჩამოვარდნილს იმ განხეთქილებას, რომელიც აგერ რამდენიმე წელიწადია ყოველ ქვეყნის სოციალისტურ პარტიათა და ყველა ინტერნაციონალურსა და ნაციონალურ კონგრესთა ყურადღებას იპყრობს. ცნობილია, რა შედეგი მოჰყვა 1899 წელს სამინისტროში მილერანის შესვლას. სახელმწიფოს მომხრე-სოციალისტები მართალია მაშინ შეერთებულ პარტიას არ წარმოადგენდნენ, არამედ სხვა და სხვა ორგანიზაციათაგან შესდგებოდნენ, მაგრამ საერთოდ ყველა ეს ორგანიზაციები ერთისა და იმავე გზით მოდიოდნენ და ძნელი სათქმელი იყო, თუ პრაქტიკულად რომელი ამათგანი უფრო ზომიერი, ან უფრო რევოლიუციონური იყო. სოციალისტურ ბანაკში ჟორესისებურ ტიპის ხალხში შესვლამ, ბურჟუაზიულ ლიბერალებისა და რადიკალების ბანაკიდან ახალ ძალთა თავის მოყრამ ყველა ამ ფრაქციათა მოქმედებაზე თავისი გავლენა იქონია. იმათ დიდათ დაუჭირეს მხარი წმინდა, პარლამენტარულ, ლეგალურ ბრძოლას და მართლმორწმუნე მარქსისტმა მგედმა არა ნაკლებ ჟორესისა თავისი იმედები ერთს ამომრჩევლობის უფლებაზე დაამყარა. (იხ. იმისი სიტყვა პალატაში 1893 წ. შემდეგ).

მაგრამ, აი, 1899 წელს დათმობის პოლიტიკამ უკიდურესი ფორმა მიიღო სამინისტროში მილერანის შესვლით, მით უმეტეს, რომ მას კომუნის დამწყნარებელ გენერალ გალიფესთან ერთად უნდა ემუშავნა. ამან გამოიწვია რეაქცია წინანდელ პარლამენტარიზმით უკიდურესობამდე გატაცების წინააღმდეგ. სოციალისტური ფრაქცია გაიყო: მარჯვენა მხარეს იყვნენ ჟორესი და მილერანი, რომელთაც უმრავლესობა გაჰყვა, მარცხნით—შედარებით მცირე რიცხვი გედისა და ბლანკისტ ვალიანის მიმდევართა. ეს განაწილება დაახლოებით უდრიდა გერმანულ სოციალ-დემოკრატთა ბერნშტეინის მომხრეთა და ბებელის ფრაქციას შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებას. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამ ჟამად გედი და იმისი ფრაქცია პარლამენტარიზმით გატაცებისა და პირდაპირ გამარჯვების წინააღმდეგ ბევრს ისეთს არგუმენტებს აყენებდნენ, რომელთაც ასე ცოტა ხნის წინად დიდ სისულელედ უთვლიდნენ ანარქისტებს და რომელნიც ეხლა წარმოადგენენ უსწორესს დასკვნას მართლმორწმუნე მარქსიზმისას. მოწინააღმდეგე ფრაქცია ამ შემთხვევაში უფრო ერთგულია თავის თავისა: ჟორესისტებს ვერავითარის პრინციპიალურის დათმობით ვერ შეაშინებ და რა-კი ერთხელვე დადგნენ მოქმედების სახელმწიფოებრივ ნიადაგზე, ისინი დაუღალავად ესწრაფვიან თანამედროვე წესწყობილებასთან სოციალიზმის შეფარდებას.

პრაქტიკულად ამ განაწილებას იმდენი მნიშვნელობა აქვს, რამდენად ესა თუ ის ფრაქცია მუშათა წრის ნდობით

---

კლულევანებას: ამ წამში ყოვლის უწინარეს საჭიროა უკვე მოპოვებულ ჭეშმარიტებათა გავრცელება, ცხოვრებაში იმათი გატარება, იმათი ყველასათვის ხელმისაწდომად გადაქცევა, უნდა ვცდილობდეთ, რომ მთელ კაცობრიობას შეეძლოს ამათი შეთვისება და საქმეში გამოყენება: რომ მეცნიერება ფუფუნების საგანს აღარ შეადგენდეს და რომ ცოდნა ცხოვრების საფუძვლად შეიქნეს. ამას თხოულობს უბრალო მართლმსაჯულობა.

ამასვე თხოულობს თვით მეცნიერებაც. ნამდვილი მოძრაობა აწი შეიძლება მეცნიერებაში მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანის გონება შეიძლებს ახლად აღმოჩენილ ჭეშმარიტების შეთვისებას. მექანიკური თეორია სითბოსი, ჯერ კიდევ წარსულ საუკუნეში დაწერილი თითქმის იმავე სიტყვებით, როგორითაც გამოთქვეს იგი ჩვენმა თანამედროვეებმა გირნმა და კლაუზიუსმა, ოთხმოცის წლის განმავლობაში აკადემიის მეცნიერთა ნაწერებში იყო ჩაკარგული, ვიდრე ფიზიკური ცოდნა და ფიზიკურ თვისებათა აზროვნობის საშუალება არ გავრცელდა საზოგადოებაში და არ შესდგა წრე, ამ აღმოჩენათა შეთვისების შემძლეთა. ამგვარადვე მთელი სამი თაობა მოუნდა, ვიდრე ერაზმ დარვინის შეხედულება პირუტყვთა სახისა და მცენარის ცვალებადობაზე მიღებულ იქმნა იმის შვილიშვილისგან. მაინც საზოგადოებამ რამდენადმე ძალადობა იხმარა ბატონ აკადემიკოსებზე. მეცნერი, ისე, როგორც მხატვარი, ყოველთვის ნაყოფია იმ საზოგადოებისა, რომელშიაც იგი აღზრდილა და რომელსაც იგი წვრთნის.

*
* *

მაგრამ თუ თქვენ ამ შეხედულებებით გაიმსჭვალებით, მიხვდებით, რომ უწინარეს ყოვლისა საჭიროა მიაღწიოთ საზოგადოებაში ღრმა ცვლილებებს; საჭიროა თავდაპირველათ შეიცვალოს არსებული წესი, რომლის მეოხებითაც მსწავლული თავის ცოდნით განცალკევებული დგას, მაშინ, როდესაც იმის გარშემო ხალხი ცხოვრობს, თითქმის ყველა იმავე მდგომარეობაშია, რაც ხუთის, ან ათის წლის წინათ იყო, ე. ი. მონურს მდგომარეობაში, როდესაც არ შეუძლიანთ შეითვისონ თუნდაც ერთხელ დადგენილი სამეცნიერო ჭეშმარიტება. და როდესაც თქვენ ამ შეხედულებისა იქნებით—ნამდვილ კაცობრიულისა და ამასთანავე ღრმა მეცნიერულის—მსწრაფლათ დაჰკარგავთ ყოველს სურვილს განყენებულ მეცნიერებისადმი. თქვენ იმას დაუკვირდებით, როგორ მოვახდინოთ საჭირო ცვლილება. და თუ თქვენ ამ ნიადაგზე არ უარჰყოფთ მოსყიდულ მეთოდს ჭეშმარიტების მეცნიერულ ძიებისას, აუცილებლათ იძულებული იქნებით, სოციალისტებს შეუერთდეთ. ყოველ სოფიზმისაგან განდგომილნი, თქვენ ჩვენ შემოგვიერთდებით. რაკი აღარ ისურვებთ იმისთვის შრომას, რომ სულ მაღლა-და-მაღლა ეძებოთ სიტკბოების ნექტარი მისთვის, ვინც უკვე მოასწრო და საუფლო ლუკმა იგდო ხელთ, თქვენ მთელს თქვენს

სარგებლობს და თავის დაღს დაასვამს მუშათა საერთო მოძრაობას. ამისთვის-კი საჭიროა თვალი გადავავლოთ პარტიათა როგორს ერთობას ვპოულობთ ამ ჟამად ფრანგ მუშათა ორგანიზაციებში.

ყოვლის უწინარეს უნდა შევნიშნოთ, საფრანგეთის სინდიკატები სულაც არ წარმოადგენენ ისეთ შთაბეჭდილების მომხდენ სანახაობას, როგორც ინგლისის ტრედ-უნიონები; ისინი, შედარებით, დიდი ხანი არაა, რაც არსებობენ, იმათი კასსა ჩვეულებრივად მდიდარი არ არის და გარდა ამისა, მართალი რომ თქვას კაცმა, ამ სინდიკატებში შეკავშირებულია საფრანგეთის მუტათა უმცირესობა. ჩვენ ისინი სხვა მხრით გვაინტერესებენ, იმით, თუ ისინი, როგორც უფრო განვითარებული უმცირესობა, რა როლს ითამაშებენ თავის დროზე მუშათა მასსაში.

საფრანგეთის სინდიკატები სოციალისტურ გზას დაადგნენ მე-70-ე წლების ბოლოს: 1879 წელს, რამდენისამე დაბრუნებულ კომმუნარის გავლენით, პირველად მიიღეს მუშათა კონგრესზე რეზოლიუცია, სოციალურ ცვლილებათა სურვილის გამომხატველი. მით უმეტეს ეს იყო ძალიან ზომიერი სოციალიზმი და მთელის 80-იან წლების განმავლობაში მუშათა ორგანიზაციები განსაკუთრებით ესწრაფებოდნენ ყოველდღიურ ბრძოლას თავიანთ მდგომარეობის პირდაპირ გაუმჯობესებისათვის, თუმცა სოციალისტების მოძრაობაში-კი არავითარ როლს არ თამაშობდნენ. ცოტ-ცოტად საქმე იცვლება: მუშათა სინდიკატების წევრთა შორის ის აზრი ვრცელდება, რომ სოციალურ იდეალის განცხორციელება ისე არ შეიძლება, თუ არ რევოლიუციონურის გზით. იბადება საერთო გაფიცვის იდეა. ეს იდეა, რომელიც თავიდანვე მტრულ დამოკიდებულებას შეხვდა მართლმორწმუნე სოციალ-დემოკრატთა ჯგუფისაგან, მუშათა წრეებში, პირიქით, უფრო გავრცელდა. 1892 წელს პრინციპიალურად პირველად მიიღეს მარსელის კორპორატიულ კონგრესზე*), ხოლო შემდეგ იმის განვითარება, როგორც საზოგადოდ მუშათა სარევოლიუციო ორგანიზაციების განვითარება, ჩქარის ნაბიჯით მიდის წინ.

1896 წელს, ლონდონის საერთაშორისო კონგრესზე საფრანგეთის სინდიკატების წარმომადგენელთ წინაალმდეგობა გამოსთქვეს, რომ საერთაშორისო კონგრესებზე დასწრების უფლება მხოლოდ პარლამენტარულ სოციალისტებს მინიჭებოდათ: იმათ არ უნდათ აღიარონ ვალდებულება ყოველის დელეგატისა წინდაწინ ხელი მოაწერიას განცხადებას, რომლითაც იგი აღიარებს პარლამენტარულ გზას მოქმედებისას. (როგორც ვიცით, ეს ვალდებულება profession de foi მიღებულ იქმნა იმ აზრით, რომ სამუდამოდ კარი დაეხშოთ ანარქისტებისათვის).

ლონდონის კონგრესზე საფრანგეთის მუშათა დელეგატების რიცხვში ჩვენ საკმაოდ ბლომად ვპოულობთ ანარქისტებს, რომელნიც ამ დროიდან მოყოლებული სისტემატიურს მუშაობას იწყებენ ამ ორგანიზაციათა შორის.

უწინაც, რასაკვირველია, ცალკე პირები საფრანგეთის ანარქისტთაგან შედიოდნენ მუშათა სინდიკატებში პროპაგანდის მიზნით, მაგრამ საერთოდ ამ პროპაგანდიდან დიდს არას მოელოდნენ და მოწინავე მუშათა ჯგუფების უმრავლესობა იჭვის თვალით უყურებდა ამ სინდიკატების სარევოლიუციო გზაზე დადგომას.

1892—94 წ.წ. ანარქისტების ჯგუფთა შორის სუფევდა ტერორისტული მიმართულება, მრავალ ისეთ გარემოებათაგან შექმნილი, რომელთა შესახებაც ლაპარაკი აქ შორს წაგვიყვანდა. ერთის მხრით ყუმბარის ... ხოლო მეორეს მხრით მთავრობისაგან სასტიკ დევნის დროს ფიქრი თანდათანობითს მშვიდობიან პროპაგანდაზე მუშათა ორგანიზაციებს შორის ძნელი იყო.

(შემდეგი იქნება)

*) კორპორატიულ კონგრესად საფრანგეთში იწოდება მუშათა კავშირების კრება (სიეზდი).

---

## რუსეთის ცხოვრებიდან.

ურალიდან „დვადცატი ვეკს“ ატყობინებენ, რომ მუშათა წრეებში **მოძრაობამ იჩინა თავი.** მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ადმინისტრაციას მოუსურვებია იმ უფლებათა წართმევა, რომლებიც მუშებმა იანვარში მოიპოვეს.

ორს მარტს ჩიტაში **დახვრიტეს** ანტონ ანტონის ძე კოსტიუშკო – ვლიუჟინიჩ, რომელიც გრიგოროვიჩის გვარით იყო ცნობილი.

— „სიბ. ობ.“ კორესპოდენტი ამაზედ შემდეგს იტყობინება. $3^1/_2$ საათზედ მოვიდა მატარებელი დასასჯელათ განმზადებულებით. თან ახლდათ მღვდელი და როდესაც მატარებლიდან გამოვიდნენ, ხალხს მიესალმენ, თავი მედიდურათ ეჭირათ. აფიცერი, რომელიც ახლდა განწირულებს, ხალხს ემუდარებოდა გასცლოდა, მაგრამ ხალხი არ მიდიოდა. ამ უკანასკნელს **თვალებზედ ცრემლი მოერია...** დასასჯელნი წაიყვანეს ერთი ვერსის მანძილზედ, საგანგებოდ მომზადებულ თხრილებთან. ხალხი უკან დასწიეს. დაუწყეს თვალების ახვევა. გრიგოროვიჩმა (კოსტიუშკომ) სთხოვა თვალები არ აეხვიათ მისთვის, რაც შესრულებულ იქმნა. სხვებს სუყველას თვალები აუხვიეს. გრიგოროვიჩმა (კოსტიუშკომ) სალდათებს მიმართა სიტყვით, მაგრამ ნალაპარაკევი ხალხს არ ესმოდა, თუმცა ბარაბანები სდუმდნენ. ლაპარაკობდა აგრეთვე სტოლიაროვიც... პირველ გასროლის შემდეგ სტოლიაროვი და ცუკერმანი თოკზედ იყვნენ ჩამოკიდებულნი, გრიგოროვიჩი (კოსტიუშკო) და ვაინშტკინი ფართხალობდნენ. ისროლეს მეორედ — კიდევ სული ედგათ. მერმედ სალდათებმა სული განუტევეს.

— კოვნოში ტილმანის ქარხანაში **გაიფიცნენ მუშები,** რიცხვით 600, რადგანაც ქარხნის პატრონებმა ციხიდან

---

ცოდნასა და თქვენს მეცნიერულ აზროვნებას პირდაპირ ხალხის სამსახურს შესწირავთ.

და დარწმუნებულნი იყავით, რომ მოვალეობის აღსრულების შეგნება და თქვენის გონებისა და მოქმედების შეთანხმების გრძნობა ისეთს ძალას მოგცემთ, რომელსაც არ გრძნობდით თქვენში. იმ დღეს-კი, როდესაც—ეს დღე შორს არ არის, რაც არ უნდა ილაპარაკონ თქვენმა პროფესორებმა—იმ დღეს, როდესაც თქვენის ღონით მოპოვებული ცვლილება მოხდება, მაშინ მეცნიერება მეცნიერულად შეერთებულ შრომაში მთელის ლეგიონის დახმარებით მოიპოვებს ახალს თანაშემწეთ მუშათა წრიდან, ასეთ შემძლე ძალას, იგი ისე ძლიერად აღფრთოვანდება, რომ ყველა მისი ეხლანდელი გამარჯვება უბრალო მოწაფურ ვარჯისობად გამოჩნდება.

მაშინ ხელ-ახლა დასტკბით მეცნიერებით: ეს სიტკბოება ყველას ხელმისაწდომი იქნება!

განთავისუფლებული მუშების ამხანაგები არ მიიღეს.

— 23 მარტს მოსკოვში დაიწყო ყველა პატიმართა შიმშილობა. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ეს ამბავი შეატყობინა დურნოვოს, მაგრამ ამ უკანასკნელმა ყურიც არ შეიბერტყა. ადმინისტრაცია არ მოელოდა, რომ შიმშილობა საერთო იქნებოდა ყველა ციხეებში.

— გაზ. „სტრანაში“ შემდეგს ვკითხულობთ: რადგანაც ამ ბოლო დროს ადესაში ძალიან გახშირდა სახაზინო მაღაზიების და იარაღის საწყობების რბევა და ადგილობრივმა პოლიციამ კი ვერა გააწყო რა, გრადონაჩალნიკი შეეკითხა შინაგან საქმეთა სამინისტროს: შეიძლება თუ არა ადესის **მცხოვრებთა გაჩხრეკა,** რომ დამნაშავენი აღმოაჩინოთ, ან ეს უკანასკნელი 17 ოქტ. მანიფ. წინააღმდეგი ხომ არ არისო? დურნოვომ წააწერა: **„სულ უბრალო რამეაო“.**

— დასავლეთ-სამხრეთის რკინის გზებზედ **სცდიან ჯავშნიან მატარებელთა** მიმოსვლას, რომ ეს უკანასკნელნი რკინის გზებზედ მოძრაობის დროს გამოიყენონ.

— ეკატერინოსლავში პოლიციამ შეიპყრო ცხრა ანარქისტი, რომელთაც სურდათ ბრიანსკის ქარხნის **კასის წაღება.** უპოვნეს ბლომად იარაღი და ანარქისტთა ბეჭედი.

— ლიუბლინში რევოლვერით **მოჰკლეს** ვილაც ბარკოვსკი და დემბროვსკი. შემთხვევით დაიჭრენ ქალი და ბავშვი.

— პეტერბურგში ხმა დადის, ვითომც აღდგომა დღეს **დურნოვო გრაფის ტიტულს მიიღებს.**

— შინაგან საქმეთა მინისტრმა **აუკრძალა** გაზეთებს ყველანაირ ცნობების ბეჭვდა არმიის დემობილიზაციის შესახებ. მოსკოვში გაძლიერებულ დაცვას **ოც აპრილს მოსპობენ.**

— ნიჟნი ნოვგოროდში სახლის პატრონს შუბინსკის ათმა კაცმა 5000 მ. წაართვა. ფულის წამღებნი მიიმალნენ.

— ზარაისკში დაიწვა მუშების სადგომი. **დაიწვა ოთხი მუშა** და ექვსი ბავშვი.

— გენერალ გუბერნატორისაგან გადაყენებულ იქმნა ირკუტსკის ქალაქის თავი, მანამ სამხედრო წესები მოქმედობენ.

— სახელმწიფოს საბჭოს წევრი შიროკოვი, რომელიც მოსკოვში იყო დატუსაღებული, გაანთავისულეს.

— შესდგა ახალი სესხი ორ მილიარდ 250 მილიონ ფრანკის, ხუთის პროცენტით, 88 კურსით და ათის წლის შემდეგ კონვენციის უფ ლებით. საფრანგეთს ეძლევა 1200 მ. ფრანკი, რუსეთს 500, ინგლისს 330, ავსტრო-უნგრეთს 165, ჰოლანდიას—55, სახელმწიფო ბანკმა დაუწია საუჩოტო ნორმას ნახევარ პროცენტამდე.

— **მოსკოვში,** ოთხი პოლიტიკური მოღვაწე, რომლებიც საპყრობილოდან აბანოში მიიყვანეს, აბანოს ფანჯრიდან გაიპარნენ.

— **ადესაში,** ჟუკოვმა, რომელსაც სამხ. სასამართლოსაგან სიკვდილი ჰქონდა გადაწყვეტილი, ჯარების უფროსს თხოვნა მიართვა, სადაც პატიებას სთხოვს.

— **პეტერბურგის** მთავარმა სამხედრო სასამართლომ განიხილა კასაციური საჩივარი იაგანსენის (გერმან. ქვეშევრდომის) და გლეხს ზენდალისა, **რომელთაც სიკვდილი ჰქონდათ გადაწყვეტილი** მხოლოდ იმიტომ, რომ გოროდოვოის მოკვლა განუზრახავთ. სასამართლომ განაჩენი უკუაგდო.

— უსურიის გზის მთელი საბჭო და მათ შორის რკინის გზის უფროსის თანაშემწე ხორვატი სახედრო **სასამართლოს მისცეს.** დასჯიან 344 სტ. დებულების ძალით.

— სოც.-რევ. მოსკოვის კომიტეტმა „პუტ“-ს აცნობა, პარტიას **საერთო არა აქვს რა** იმ პირებთან, რომლებმაც მოსკოვის საუთიერთო კრედიტის ბანკი გაძარცვესო.

— **ბორისოგლებსკი.** გუშინ საღამოს თერთმეტ საათზე შუა ქალაქში რევოლვერით **მოჰკლეს პოდესაული აბრამოვი,** რომელიც სპირიდონოვის ქალის პროცესში ცნობილია. მკვლელი მიიმალა.

— **ნიჟნეტაგილსკი.** ღამით პირველ აპრილს ექვსმა მძარცველმა შეშინებულ დარაჯს დემიდოვის რკინის მადნებში წაართვეს 2 ფუთი და 23 გირვანქა დინამიტი და 150 კაპსული. მძარცველები ვერ აღმოაჩინეს.

— **აქტიური ბოიკოტი.** ნოვოსოლნის გმინაში (ლიუბლ. გ.) სახელმწიფო საბჭოს არჩევნებზე რამდენიმე კაცი მოვიდა ბოიკოტის დასაწყებათ. მამასახლისმა რამდენიმე შეიარაღებული გლეხი მოიწვია. მოხდა შეტაკება—ერთი აგიტატორი **მძიმეთ დაიჭრა,** დანარჩენი დანებდნენ და **დაპატიმრებულ იქნენ.**

პამიანიცში მუშები წითელ დროშებით და რევოლიუციონურ სიმღერებით გამოვიდნენ, მაგრამ, პატრულმა რომ დაინახეს, დაიშალენ.

— **პოლტავა.** ანარქისტების სახელით ვილაც ყაჩაღები თავს ესხმებიან. გუშინ ერთ მაღაზიას 10 შეიარაღებული კაცი დაეცა და ფული მოითხოვა. მძარცველებს წინააღმდეგობა გაუწიეს, რის შემდეგ ისინი გაიქცნენ.

— **ამნისტია.** „ნოვ. ვრ.“ და სხვა გაზეთები იუწყებიან, არც იუსტიციის სამინისტროში, არც შინაგან საქმეთა სამინისტროში **არ წარმოებს არავითარი საქმე,** რომელიც ამნისტიას შეეხებოდეს. არაფერი იციან. არც ერთ სამინისტროში ამნისტიაზე

— **ლოძი.** პადრეჩნოიზე მდგომმა დარაჯმა მოჰკლა **თერთმეტი წლის ნიტკენბერგი,** რომელმაც დარაჯი გაალიზიანა და ყური არ ათხოვა მის სიტყვებს, რომ მოშორებოდა.

— **სამხედრო გუბერნატორის დაპატიმრება.** „სლოვო“ იტყობინება, რომ ზაბაიკალის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი ხოლშჩევნიკოვი 28 მარტს დააპატიმრეს.

---

## ადგილობრივი ქრონიკა

✦ ტფილისის საბჭოს ხმოსნები და მათი აგენტები ვაჭართა შორის უკვე შეუდგნენ საარჩევნო პროპაგანდას.

✦ როგორც ხმა დადის, აპრილის ბოლო რიცხვებში სამხედრო **წესებს გააუქმებენ** როგორც ტფილისსა და ქართლში, ისე დასავლეთ საქართველოში.

✦ ევლახიდან იწერებიან: ჯევანშირის მაზრაში მომქმედ ყაჩაღთა ბრბომ ცნობილ ასკვარ ხანის მეთაურობით მარტის 29-ს თათრის სოფ. შატილის მახლობლად **მოჰკლა ოთხი კაზაკი და იარაღი წაიღო.** ამ შემთხვევის გამო შეიპყრეს ოთხი შატილელი თათარი და გაგზავნეს ევლახს ყაზახების თანხლებით. გზაზე ოთხივე მოუკლავთ.

✦ როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ამ რამდენისამე კვირის წინად დაიჭირეს სოხუმში გიორგი მაჩაბელი. ეხლა დანამდვილებით შევიტყეთ, რომ მთავრობას გიორგი მაჩაბელი **სამხედრო სამართალში მიუცია.**

✦ სოფელ თეზში (გორის მაზრა) რამდენიმე შეიარაღებული ავაზაკი თავს დაესხა დროებით მცხოვრებს დავით

სალაქაძეს. ავაზაკებმა შესვლისათანავე ფული მოსთხოვეს და რაკი უარი მიიღეს, **გაიყვანეს გარედ და მოჰკლეს.** თუმცა სალაქაძე დიდი შეძლების პატრონი იყო, მაგრამ იმ დროს ფული თან არა ჰქონია. ავაზაკებმა ვერაფერი ვერ წაიღეს და მიიმალნენ.

✦ სურებში გლეხებმა რწმუნებულად **აირჩიეს** ის. ივ. რამიშვილი. (ელვა)

✦ ნამესტნიკის ბრძანებით გიორგი ზდანოვიჩი **განთავისუფლებულ** იქმნა ყოველ გვარ პასუხის მგებლობისაგან დანება მიეცა იცხოვროს, სადაც სურს.

✦ ქუთაისიდან შემდეგ უცნაურ შემთხვევას გვატყობინებენ: ამ დღეებში ქუთაისის გუბერნიის მმართველის, ოსეცკის სახლს **მიუჩინეს ყარაულები,** თუმცა-ღა ოსეცკის ეს არ მოუთხოვია. ამბობენ, რომ ეს ყარაულები არა თუ გუბერნატორთან მთხოვნელებს არ უშვებდნენ, არამედ **გუბერნატორსაც არ უშვებდნენ სახლიდან.** ოსეცკიმ სთხოვა ალიხანოვს განთავისუფლებია ის ძალად მაცხონე მცველებისაგან, მაგრამ მიუხედავად ამისა, მცველები ამ თხოვნის შემდეგაც იდგნენ.

რას ნიშნავს ეს ამბავი?

ქუთაისიდან იწერებიან, რომ ოსეცკის და ალიხანოვს შორის შავმა კატამ გაირბინაო.

✦ კავკასიის პოლიციის გამგე **შირინკინი** 4 აპრილს სამსახურის გამო პეტერბურგს გაემგზავრა. მისი ადგილი დაიჭირა იმის კანცელარიის მმართველმა გუროვიჩმა.

✦ ამიერ-კავკ. რკ. გზების დროებით უფროსი პოლკოვნიკი ნეიგებაუერი 28 აპრილიდან **თავს დაანებებს** ამ თანამდებობას. იმავე დღიდან მის ადგილს დაიჭერს ინჟ. შაიკევიჩი.

✦ 2 აპრილს მე-10 საპოლიციო უბანში სასიკვდილოდ დასჭრეს უცნობი კაცი, რომელმაც სიკვდილის წინ სამკურნალოში თავისი თავი ალექსად დაასახელა. ამ უცნობს კაცს 36 ჭრილობა აღმოაჩნდა სხეულზე. იგი მთლად დახვრეტილი იყო ძველი სისტემის „ვინტოვკის“ ხიშტით. ქალაქში ხმა დადის, რომ ეს კაცი **არსენ ჯორჯიაშვილის ჩამომხრჩობი იყოო.**

✦ ქუთაისიდან „ვოლიას“ სწერენ, რომ ალიხანოვმა წარუდგინა ნამესტნიკს მოხსენება 150 **პოლიტიკურ ტუსაღთა გაგზავნის** შესახებ. ეს ტუსაღები იგზავნებიან არხანგელსკის და ტობოლსკის გუბერნიებში 5 წლის ვადით.

✦ ნამესტნიკის თანაშემწე ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეი დანიშნეს სენატორად; **მისს ადგილს იჭერს** ყოფილი სახალხო განათლების მინისტრი გ. მ. გლაზოვი.

✦ 6 აპრილს სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოებას, სასახლის ქუჩაზე, სარაჯევის სახლში, რამდენიმე შეიარაღებული კაცი დაეცა, რომლებმაც მოსამსახურეთ ფული მოსთხოვეს. უცნობთათვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია, მხოლოდ ბანკის გამგეს განზიელს გაუწევია წინააღმდეგობა და მათთან თამამად ლაპარაკსა და დარიგებას მოჰყოლია. თავდამსხმელთ იგი იქვე მოჰკლეს ექვსი ტყვიით. ამასობაში ბანკის შენობის ეზოში ხალხი მოგროვილა. ხალხის შესაშინებლათ ეზოში ყუმბარა გადაუსვრიათ. ამის გამო ხალხი დაფანტულა და თავდამსხმელნი მიმალულან. წაუღიათ 6 **ათასს მანეთამდე ნაღდი და 12,000 მ. ქაღალდები.** ყუმბარით რამდენიმე კაცია დაშავებული. სხვათა შორის მეეზოვეს იოანისიანცს მარცხენა ფეხი აქვს მოწყვეტილი. დაშავებული და მოკლული განზიელი მიხეილის საავათმყოფოში გაგზავნეს. ამის შემდეგ სასახლის ქუჩას ჯარი შემოარტყეს და ხალხსა და შენობებს ჩხრეკა დაუწყეს.

✦ გაზეთ „ვოლია“-ში (№ 5) დაბეჭდილია შემდეგი რაპორტი ქუთაისის მაზრის უფროსისა ქუთ. გუბერნატორის სახელზე (№ 911): ,,ქუთაისის მაზრის სოფ. დიდ-ჯიხაიშს, 23 მარტს, საღამოს 9 საათზე, როცა იქ მივიდა პოლკ. გავრილოვის რაზმი, პოლტავის მე-2 პოლკის მე-2 სოტნის 4 ყაზახი შეცვივდა გლეხის ზოსიმე გიგოს ძის ვაშაკიძის ეზოში; დაინახეს თუ არა აივანზე ვაშაკიძის ქალიშვილი, მავარდნენ და განიზრახეს მისი **გაუპატიურება.** მამა და ძმა მიეშველნენ ქალს ყვირილზე. მოვარდა მათი მეზობელი ვასილ ვაშაკიძე, რომლის შემწეობით ყაზახები ეზოდან გაჰყარეს. მაგრამ რამდენისამე ხნის შემდეგ ყაზახები ისევ მოვიდნენ და თან მოიყვანეს ამხანაგები (სულ 16 კაცი მოვიდა), რომლებიდან ზოგი ვინტოვკით იყო შეიარაღებული, ზოგიც ჯოხით და დაიწყეს ყვირილი—**ქალი მოგვგვარეთო.** როცა გლეხებმა მოთხოვნა არ აუსრულეს, ყაზახებმა **თოფი დასცალეს და დასჭრეს ქალის მამა.** მაშინვე იქ მივიდა პოლკ. გავრილოვი და სხვები. ბოქაულის პროტოკოლი ხონის ნაწილის გამომძიებელს გადაეცა“.

✦ 27 მარტს ტფილ. გენ.-გუბერნ. გენ.-მაიორმა ტიმოფეევმა დაავალა ყველა გაზეთებს **არ გამოაქვეყნონ არავითარი ცნობა** შესახებ იმ ინციდენტისა, რომელიც მოხდა ,,მინგრელსკი“ პოლკში, მანამ, სანამ საქმე არ გამოირკვევა. შემდეგ გაზეთი ,,გოლოს კავკაზა“ გენ.-გუბერნატორის ნებართვით სტამბავს ,,მინგრელსკი“ პოლკის კომანდირის მოხსენებას:

26 მარტს 2 კავკასიის მსროლელთა პატრულმა დაატუსაღა რკინის გზის ლიანდაგს გადაღმა რამდენიმე კაცი ,,მინგრელსკის“ პოლკისა.

დაჭერილები წაიყვანეს საკომენდანტო სამართველოში, აქედან პოლკში გაგზავნეს, ვოლნოოპრედელიაიუშჩი აბრამენკო-კი დაიჭირეს.

8 საათზე მოვიდა განკარგულება ჟანდარმთა პოლკოვნიკისაგან, რომ მიტინგზე დაჭერილ სალდათების ბარგი გასჩხრიკეთო. გაჩხრეკას სალდათები არ დათანხმდნენ და ამბობდნენ, რომ ჩვენ აქ არესტანტები არ გვყავს და არაფერია გასაჩხრეკიო. ამ როტის სალდათები ამის შემდეგ გამოვიდნენ ყაზარმის ეზოში, იწვევდნენ შემოსაერთებლად დანარჩენ როტებს და **თხოულობდნენ აბრამენკოს განთავისუფლებას.** მიღებულ ზომებმა ვერ გასჭრეს. სალდათების რიცხვი იზრდებოდა. ზოგიერთი სალდათი თხოულობდა თოფებით შეიარაღებული წასულიყვნენ საკომენდანტო სამმართველოში.

მე-14 როტამ თავის სადგომი გაიმაგრა. ეზოში მყოფ 13 და 15 როტის სალდათების მხრიდან ვიღაცამ თოფი გაისროლა; ამას მე-14 როტამ პასუხი გასცა. შედეგი **ამ სროლის იყო 2 მძიმედ და 3 მსუბუქად** დაჭრილი. დანარჩენებმა ყველამ თავიანთ კაზარმებს მიაშურეს. დაშავებულნი ტფილისის სამხედრო საავადმყოფოში გაგზავნეს.

---

რედაქტორ-გამომცემელი

**დ. ერისთავი-მდივნისა**

ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შ რ ო მ ა“. ტფილისი, მიხეილის ქუჩა, 65.